

ბათუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი
ხელნაწერის უფლებით

სინან ქილიჩი

**ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლია
გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში
(ძვ. წ. XIV-VII სს.)**

არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ანოტაცია

სამეცნიერეო ხელმძღვანელები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა მამულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯონი ავაქიძე

ბათუმი
2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შოთა მამულაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ემერიტუსი

ჯონი აფაქიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ოფიციალური ოპონენტები: მეჰმედ ოზდოგანი

ემერიტუს-პროფესორი

ნანა ხახუტაიშვილი

ისტორიის აკადემიური
დოქტორი, სრ. პროფესორი

ემზარ კახიძე,

ისტორიის აკადემიური
დოქტორი, ასოც. პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის საათზე,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

.....

დისერტაციის ზოგადი შინაარსი

ნაშრომის აქტუალურობა. განსახილველი ნაშრომი მოიცავს კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონს. დასავლეთით ამ არეალს მდ. იემილირმაკი საზღვრავს, რომელიც ჩარშამბას ველზე მიედინება და შავ ზღვას ერთვის, აღმოსავლეთი მიჯნა კი მდ. ჭოროხის შავ ზღვასთან შესართავია ქ. ბათუმის ახლოს. ამ ორმდინარეთს შორის, დასავლეთით ჭანიკის მთების აღმოსავლეთი ნაწილი, გირესუნის მთები, დოღუ ყარადენიზის და იალნიზჩამის მთების ჩრდილოეთი ნაწილი მდებარეობს. ეს მთაგრეხილები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთში ქმნის გეოგრაფიულ მრუდს, რომლის სიგრძე 470 კმ-ა. კვლევის არეალის სამხრეთ მიჯნად მდ. მდ. კელკიტისა და ჭოროხის ველები განისაზღვრა. ისინი მთაგრეხილების სამხრეთით გრძელდება. კვლევის არეალის დასავლეთ ნაწილის სიგანე დაახლ. 87 კმ-ა ფარშემბეს კონცხსა და რაშადიეს შორის, 108 კმ-ს აღწევს ქ. ტრაპიზონის დასავლეთ ნაწილში მდებარე იოროსის კონცხსა და ქ. კელკიტის ცენტრალურ ნაწილებს შორის, რაც კვლევის არეალის შუა ნაწილია. კვლევის არეალის ის მონაკვეთი, რომელიც არჩავის სანაპიროსა და ართვინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებს მოიცავს, იქ, სადაც მდ. ჭოროხი რკალს შემოწერს, 55 კმ-ის სიგანისაა. მთლიანად, კვლევის არეალის ფართობი 147. 738 კვადრატული კილომეტრია შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ.

ჩვენთვის საინტერესო ზონაში არსებული რთული გეოგრაფიული პირობებისა და ძალზედ ხშირი მწვანე საფარის გამო არქეოლოგიური სამუშაოები ურთულესი ჩასატარებელია, რაც არაერთ არქეოლოგს საკუთარ თავზე გამოუცდია. ამიტომაც, ამ კვლევის მიზნებისათვის ყველა არქეოლოგიური გათხრა გაერთიანებულია და ქრონოლოგიურადაა დალაგებული და აღწერილი (თავი II).

კვლევის არეალის ისტორიული გეოგრაფია შესწავლილი იქნა ქრონოლოგიური კუთხით და მოიცავს აქ მიმდინარე პროცესებს პალეოლითის დროიდან თანამედროვეობამდე. ამ კონტექსტში, შევეცადეთ აგვეხსნა ისეთი ისტორიული მოვლენების გავლენები ამ რეგიონზე, როგორებიცაა ხეთები, კოლხები და ურარტუ.

ამ ნაშრომში მოტანილი აღმოჩენები და დასკვნები გაკეთებულია ყუამილიანი ცულებისა და სხვა არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე, რომლებიც ადგილობრივ მუზეუმებშია დაცული, სადაც თავდაპირველად განისაზღვრა კიდეც

მათი რაობა. მაგალითისათვის, 29 ერთეული ყუამილიანი ცულიდან 8 ერთეული სამსუნის მუზეუმის საცავებშია, 10- ტრაპიზონის მუზეუმში, 5- რიზეს, 6 ერთეული კი გირესუნის მუზეუმში. ნაშრომის ამავე ნაწილშია განხილული ლითონის სხვა, ადრე გამოქვეყნებული არქეოლოგიური მასალაც (თავი IV).

კვლევის დროს გამოყენებული იქნა ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა. ყოველი მათგანი ტექსტში მითითებულია და მოცემულია ნაშრომის ავტორის სახელი, გამოცემის წელი და გვერდი. ძველი მსოფლიოს და შუა საუკუნეების ავტორები მითითებულია არა ბიბლიოგრაფიაში, არამედ უშუალოდ ტექსტში, სადაც მოცემულია ავტორის სახელი, ნაშრომი და შესაბამისი თავი.

კვლევის მიზანი. დისერტაციის მიზანია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კონკრეტულად ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში) გვიანი ბრინჯაოდან რკინის ხანაში გარდამავალი პერიოდის არქეოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესწავლა მილისებურყელიანი ცულებისა და ლითონის ზოგი სხვა მეტალი და კერამიკა მასალის ურთიერთშედარების საფუძველზე. მით უფრო, რომ ნაშრომში თავმოყრილი და გაერთიანებულია ჩვენთვის საინტერესო რეგიონში ადრე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგები, რეგიონი კი გარდამავალი ზონაა ანატოლიასა და კავკასიას შორის. ამ კვლევების გამოქვეყნება შესაძლოა იქცეს იმ საფუძველად, რომელსაც დაეყრდნობა ამ საკითხის შემდგომი კვლევა და შესწავლა.

არქეოლოგიური მასალა, რომელსაც ეყრდნობა წინამდებარე ნაშრომი, აღმოჩენილია სამსუნის, ორდუს, გირესუნის, ტრაპიზონისა და რიზეს მუზეუმების მიერ ჩატარებული კვლევების დროს. მასალის ნაწილი გამოქვეყნებულია, თუმცა მათი შესწავლა უფრო ფართო ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ პერსპექტივაში არ მომხდარა. სწორედ ასეთი შესწავლა-შეფასებაა ამ კვლევის მთავარი მიზანი.

კვლევის სიახლე და მნიშვნელობა. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ინტენსიურად გაჩაღებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ცხადყო კულტურული კავშირები ანატოლიასა და კავკასიას შორის. ჩვეულებისამებრ, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ყუამილიანი ცულები, რომლებიც კავკასიის ტერიტორიაზეც არის გავრცელებული. სადღეისოდ ამ რეგიონებს შორის არსებული კავშირები პალეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის

მასალებითაც დადგენილია. თუმცაღა, წინამდებარე ნაშრომის კვლევის არეალის არქეოლოგიურმა შეუსწავლევლობამ და არქეოლოგიური კვლევების უგულვებელყოფამ ერთგვარი თეთრი ლაქა წარმოქმნა ანატოლიისა და კავკასიის ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით პრეისტორიულ ეპოქებში. რაღა თქმა უნდა, ბოლო დროის არქეოლოგიურმა გათხრებმა სწრაფად შეავსო ეს თეთრი ლაქა და ნათელია, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი თავის წვლილს შეიტანს ამ მიმართულებით და დაგვეხმარება, უკეთ გავაანალიზოთ რეგიონში არსებული ვითარება ბრინჯაოსა და რკინის ხანაში. საამისოდ, ჩვენთვის საინტერესო რეგიონში აღმოჩენილი ყველა მასალა ანბანური განრიგითაა ჩამოთვლილი IV თავში. ეს ნუსხა მეტად სასარგებლოა რეგიონის არქეოლოგიური პოტენციალის წარმოსაჩენად.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას კვლევის მიზნები და ამოცანები განსაზღვრავს. იგი შედგება ზოგადი აღწერილობითი ნაწილისაგან, ექვსი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან, სადაც კვლევის შედეგებია მოცემული. ნაშრომს ერთვის ბიბლიოგრაფია, აბრევიატურის განმარტებები, სურათების ნუსხა, რუკები, ფოტოები და ნახაზები. ნაშრომი მომზადდა ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ფორმატისა და სტანდარტების შესაბამისად და შედგება 224 ნაბეჭდი გვერდის, 193 სქოლიოს, 441 მითითებისა და 35 სურათისაგან.

კვლევის არეალი

კვლევის არეალის საზღვრები დადგენილია გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატური პირობების, ქანების სტრუქტურის, ნიადაგის, ფლორისა და ვეგეტაციის, მოსახლეობის სტრუქტურის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის, სატრანსპორტო და ტურისტული შესაძლებლობების მახასიათებლების გათვალისწინებით. ცხადია, ამ მახასიათებლებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ რეგიონს არაფერი აქვს საერთო არქეოლოგიური კულტურების გავრცელების არეალებთან. არქეოლოგიური კულტურების გავრცელების ზონები განისაზღვრა გათხრებისა და დაზვერვების დროს აღმოჩენილი მასალის საფუძველზე და სხვა მონაცემთა შეფასების შედეგად. თუმცა, განსაზღვრული რეგიონის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისას აუცილებელია მისი გეოგრაფიული მახასიათებლების მიმოხილვა.

თურქეთის გეოგრაფიული რეგიონების განსაზღვრის საქმეში პირველი სერიოზული ნაბიჯები 1941 წელს განათლების სამინისტროს მიერ მოწვეულ გეოგრაფიულ კონგრესზე გადაიდგა. ამ დროს დადგენილი საზღვრები და დასახელებები დღესაც ძალაშია. შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ მდებარე რეგიონს „შავი ზღვის რეგიონი“ ჰქვია და მისი ფართობი 147.738 კვ. კილომეტრია. ეს თურქეთის სახმელეთო ტერიტორიის 18.85%-ია და საზოგადოდ ცნობილია, როგორც ჩრდილოეთ ანატოლიის მთიანეთი. დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე მისი სიგრძე 1400 კმ-ა, ხოლო ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე მისი სიგანე - 100-200 კმ. რეგიონის აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოს ესაზღვრება, დასავლელით კი მდ. საქარას მიერ წარმოქმნილი ველის აღმოსავლეთ ნაწილს. რეგიონის სამხრეთი საზღვარი მაღლობებზე გადის და ამოსავლეთით მდ. ჭოროხისა და მდ. კელკიტის ველებზე მოდის. ამ საზღვრებში შედის ასევე ყარსისა და არდაღანის ველების გარშემო მდებარე მორფოლოგიური სტრუქტურები, რომლებიც აღმოსავლეთით მდებარე მაღალ პლატოს ესაზღვრებიან. ისინი ჯერაც ერთიანი და დაუნაწევრებელია. რეგიონის საზღვრებში შედის ძლიერ დანაწევრებული გეოლოგიური ფენებიც, რომელთა ვულკანური ფენების გამოქარვის მიზეზი მდ. ჭოროხი და მისი შენაკადებია. რეგიონის შუა ნაწილში მთები დაბლდება და მასში იაშილირმაკის აუზი იჭრება, სადაც ზღვის ზეგავლენა იგრძნობა. აქ რეგიონის საზღვარი იმ მთებზე გადის, რომლებიც თავის მხრივ ანატოლიის მაღალი პლატოს ჩრდილოეთ ნაწილის დასაბამია და რომელიც რეგიონის დასავლეთით მდებარეობს. ამ მონაკვეთის ჩრდილოეთი ნაწილი ხშირი ტყითაა დაფარული, სამხრეთი კი უფრო სტეპს წააგავს და ხეები აქ იშვიათად გვხვდება.

ზოგადად, რეგიონი შავი ზღვის კლიმატის ზეგავლენას განიცდის. ზღვა არა მარტო ამ რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესს განსაზღვრავს, არამედ სანაპიროს მოცილებულ მცხოვრებლებზეც მოქმედებს, რომელთაც დიდი ხნის წინ დაამყარეს სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები სხვა თემებთან თავიანთი ზღვისპირელი მეზობლების მეშვეობით. ამასთანავე, რეგიონის ტყის საფარზე ზღვა ძლიერად მოქმედებს და მდინარეებიც ზღვას ერთვის.

ხმელეთის ზედაპირის თვალსაზრისით, შავი ზღვის რეგიონი ორ გრძელულ ნაწილად იყოფა. მათი ჩრდილო ფერდობები ხშირი

ტყეებითაა დაფარული ხშირი და უხვი წვიმების გამო. აქაურ ბუნებრივ და სოციალურ ურთიერთობებს მთლიანად ზღვა განსაზღვრავს, რაც აშკარად იგრძნობა. მეორეს მხრივ, სამხრეთის ფერდობებზეც ზღვის ზეგავლენა მნიშვნელოვანია, აქაურ ბუნებრივ და სოციალურ ვითარებას ქვეყნის შიდა რეგიონების ზეგავლენები უერთდება. მაგალითისათვის, მდ. ჭოროხის ველის ზედა ნაწილის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია განსხვავდება აღმოსავლეთ ანატოლიის მაღალმთიანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისაგან. ზეთისხილი და ციტრუსები, რომლებიც ართვინსა და იუსუფელიში ხარობს, უცხოა შიდა რაიონებისათვის, სადაც უფრო მკაცრი კონტინენტური ჰავაა. ბაიურთისა და მისი შემოგარენის კლიმატური პირობები ზოგჯერ აღმოსავლეთ ანატოლიურის მსგავსია. მდ. იაშილირმაკის ზემო წელზე მდებარე გამმიჯნავი ზოლი, რომელიც რეგიონის კლიმატს განასხვავებს ცენტრალური ანატოლიის კლიმატისაგან, ცალსახად და საბოლოოდ დადგენილი არ არის და ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. რეგიონის უკიდურეს დასავლეთში კოროღლუს მთების განშტოებებს შორის მდებარე ველები, კოკაელის ნახევარკუნძული და იზნიკის ოლქი შავი ზღვის ოლქში შეიტანეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რეგიონების საზღვრების დადგენისას ხშირია მათი თანხვედრა სადღეისოდ არსებული პროვინციებისა და რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებთან.

ექსპერტების თანახმად, შავი ზღვის რეგიონში ყველა გეოლოგიური ხანის კვალი დასტურდება. ანატოლიის ჩრდილოეთით მდებარე მთაგრეხილების სარტყლის ორივე მხარეს არსებულ დეპრესიებში მესამეული ხანის ფენების (65-2.5 მლნ. წლის წინ ჩამოყალიბდა) არსებობა მიუთითებს, რომ ხსენებული მთები წყლიდან კარსტული ხანის მიწურულს ამოიზიდნენ, ხოლო ეს დეპრესიები გამოცალკევებული ზღვის აუზები იყო, რომლებიც მესამეული ხანის დასაწყისში არსებობდა. გირესუნის სამხრეთით მდებარე მთ. კირკლარში (3038 მ.) აღმოჩენილი ზოგი გეოლოგიური ფენა და გუმუშჰანეს პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე მთ. დევებოიუნუს (3082 მ.) ზოგიერთი ფენა საკუთრივ ამ მთებზე ძველია. ამას გარდა, ართვინსა და ბორჩხას შორის სიმაღლეებში განსხვავება 3000 მეტრს აღწევს და სავარაუდოდ, მდ. ჭოროხის ველს ამ მთების ჩამოყალიბებამდე უნდა ეარსება. შავი ზღვის სანაპიროს პარალელურად არსებული მთაგრეხილები, თურქეთის სამხრეთში

მდებარე ტავროსის მთების მსგავსად, მორფოლოგიურად კონტინენტური ფილების შეჯახების პროცესებს უკავშირდება, როდესაც არაბული და აფრიკული ფილები ევრაზიულ ფილას შეეჯახა. ვარაუდობენ, რომ ეს პროცესი დაახლ. 12 მლნ. წლის წინ უნდა დაწყებულიყო.

შავი ზღვის სანაპიროს პარალელურად არსებული მთაგრეხილების სიმაღლე დასავლეთით 2000 მეტრია, მის ცენტრალურ ნაწილში 1000 მეტრამდე დაბლდება, ხოლო აღმოსავლეთით თითქმის 4000 მეტრს აღწევს. ჩრდილო ანატოლიის მთათა სარტყლის უმაღლესი წერტილია ქაჩკარის მთიანეთი, რომლის სიმაღლე 3937 მეტრია და სარტყლის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მწვერვალი დოღუ კარადენიზის მთაგრეხილზეა, რომელიც დასავლეთში მდებარე ჰარშითის ველიდან იწყება და აღმოსავლეთში ართვინამდე მოდის. სამხრეთით, მდ. ჭოროხის ღრმა ველის უკან მესკითის მთაა დასავლეთით, აღმოსავლეთით კი ქარგაფაზარის მთებია. მათგან აღმოსავლეთით იაღნიზჩამისა და ყარაკალის მთებია, რომლებიც სამხრეთ კავკასიონის განშტოებებს წარმოადგენს.

მდ. ჰარშითის ზემო წელის აუზის უკან დოღუ კარადენიზის მთები გირესუნის მთებს უერთდება. სწორედ აქ მდებარეობს ზიგანას ცნობილი უღელტეხილი. გირესუნის მთებს დასავლეთით მდ. მელეტი ჩამოუდის, სამხრეთიდან კი მდ. კელკიტი, რომელიც მდ. იეშილირმაკის განშტოებაა. შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარე მთების აღმოსავლეთ ნაწილი (რომლის ჩრდილო ფერდობები მდინარეებით ძლიერაა დანაწევრებული)და გირესუნის მთები გვერდიგვერდ მდებარეობს. ეს მდინარეები, რომელთა სიგრძე 50 კმ-ს არ აღემატება, 3000 მ-ის სიმაღლიდან მოედინება და შავ ზღვას ერთვის. ამის მსგავსად, ის ნაკადები, რომლებიც სამხრეთის ფერდობებიდან მოედინება, ზოგჯერ ჭოროხსა და ქელკიტს უერთდებიან. ეს უკანასკნელნი ბაიბურთის აღმოსავლეთით მდებარე ველებიდან მოედინებიან დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ. ისინი ღრმა ხეობებს ქმნიან, რომლებიც უფრო და უფრო ღრმავდება შესართავისაკენ. ადრე თვლიდნენ, რომ ამ მდინარეებისათვის შედარებით წრფივი კალაპოტი უჩვეულო იქნებოდა. სადღეისოდ ცნობილია, რომ ჩრდილო ანატოლიის გამყოფი ხაზისწორედ მდ. ქელკიტის დინებიდან იწყება და თურქეთის ჩრდილოეთში იყოფა.

ბაიბურთის რაიონის სამხრეთით გამავალი მდ. კარასუს ზემო წელზე მდებარე ველამდე მისასვლელად, აუცილებელია კოპის მთის (2918 მ.) გადავლა. შავი ზღვის რეგიონის სამხრეთი საზღვარი მესკითის ქედზე გადის, რომელიც ერზრუმის დაბლობის ჩრდილოეთით მდებარე მთელი არეალის გეოგრაფიას განსაზღვრავს. შემდეგ საზღვარი აღმოსავლეთით მდებარე ოთლუკბელის ქედზე გრძელდება. კიდევ უფრო აღმოსავლეთით მთ. დუმლუა (3169 მ.) რომელიც ქედის აღმოსავლეთ დაბოლოების ახლოს მდებარეობს და ამ ქედის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალია. აქვეა გუზელიაილას უღელტეხილი (2090 მ.), რომელიც მდინარეების კარასუსუა და თორთუმის აუზებს ყოფს, და კარაგაფაზარის მთები, რომლებიც თორთუმის ველის აღმოსავლეთ ნაწილის ფორმას აყალიბებენ. აქ მთიანეთი საკმაოდ განსხვავებულია, ვინაიდან თორთუმი, ოლტუ და არტანუჯი ერთმანეთისაგან ღრმა ხეობებით და ველებითაა გამოყოფილი.

კვლევის არეალის დასავლეთ საზღვარია მდ. იაშილირმაკი/ირისი, რომელიც ჩარშამბას ველზე/სამსუნში მოედინება, აღმოსავლეთ საზღვარი კი მდ. ჩორუჰი/ჭოროხია, რომელიც შავ ზღვას ერთვის ქ. ბათუმთან ახლოს. რეგიონის ტოპოგრაფია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე მდებარე ჩანიკის, გირესუნის, დოღუ კარადენიზის და იაღნიზჩამის მთებითაა განპირობებული. ეს ქედები 470 კმ-ის სიგრძის რკალს ქმნიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. არეალის ჩრდილო საზღვარი შავი ზღვის სანაპიროა, სამხრეთ საზღვარი კი ზემოჩამოთვლილი ქედების სამხრეთ ფერდობებზე გადის, სადაც მდ.მდ. კელკიტისა და ჭოროხის ველები მდებარეობს. ამდენად, კვლევის არეალის სიგანე განსხვავებულია სხვადასხვა მონაკვეთში. დასავლეთ მონაკვეთი, პერშემბეს (ვონას) კონცხსა და ქ. რეშადიეს შორის 87 კმ-ის სიგანისაა, იუროსის კონცხსა (ქ. ტრაპიზონის დასავლეთით) და ქ. კელკიტს შორის შუა ნაწილია, რომლის სიგანე 108 კმ-ა, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილი, რომელიც არჩავის სანაპიროსა და ქ. ართვინის სამხრეთით მდებარე მდ. ჭოროხის მკლავს შორის მოქცეულ ტერიტორიას მოიცავს, 55 კმ-ის სიგანისაა. ამდენად, კვლევის არეალის საერთო ფართობი დაახლოებით 39.000 კვ. კმ-ა.

ეს ტერიტორია მოიცავს ორდუს, გირესუნის, ტრაპიზონის, გიუმუშკანეს, ბაიბურთის, რიზეს და ართვინის პროვინციებს და სხვა მომიჯნავე პროვინციებსა და რაიონებს ან მათ ნაწილებს. ესენია: სამსუნის პროვინციის სამხრეთით მდებარე აივაკიკის, ჩარშამბას და

თერმეს პროვინციები, ტოკატის პროვინციის ჩრდილო რაიონები ერბაა, ნიკსარი, ბაშჩიფლიკი და რეშადიე, სივასის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სუმეჰრის, აკინჩილარის და კოიულჰიშარისრაიონების ჩრდილო ნაწილები, პაზარიოლუს რაიონი და ერზურუმის პროვინციის ჩრდილოეთში მდებარე ისპირის რაიონის ჩრდილო ნაწილები.

მდ. იაშილირმაკიდან დასავლეთით - ჩანიკისა და გირესუნის მთები და იალნიზჩამის მთების ჩრდილოეთი მონაკვეთი, რომლებიც შავი ზღვის მთების აღმოსავლეთ მონაკვეთისა და მდ. ჭოროხის აღმოსავლეთით მდებარეობენ, ზედა მეოთხეული ხანის ვულკანური სტრუქტურებით გრძელდება და ლავური წარმოშობის ანდეზიტებითა და ბაზალტებითაა წარმოდგენილი, ასევე ტუფებისა და აგლომერატების სქელი ფენებით, რომელთა ასაკი 65 მლნ. წელია. ამ ქანების თავზე მოქცეულია სხვადასხვა სისქის 35 მლნ. წლის წინანდელი ეოცენური ფენები, რომელთა მიდევნება აკჩაბატის, ტრაპიზონის და რიზეს შემოგარენში და ართვინის ჩრდილოეთით მდებარე მთიან ადგილებშია შესაძლებელი. ეს ფენები გვხვდება ჩარშამბას დაბლობის უკან, პერშემბეს კონცხზე, გიოლკოიუმესუდიდან ვიდრე ისპირ-იუსუფელიმდე, მათ შორიახლო, სამხრეთით განლაგებულ მთიან მასივებამდე. თვალშისაცემია გარკვეული არათანმიმდევრობა ზედა მეოთხეულ და ეოცენურ ვულკანურ სერიებს შორის.

მთელ ამ რეგიონში უძველესია 250-300 მლნ. წლის წინანდელი გრანიტის პლასტები, რომლებიც პალეოზოური ხანის პერმოკარბონულ პერიოდს განეკუთვნებიან. სწორედ ეს ფენები ქმნიან გირესუნისა და დოღუ ყარადენიზის მთების მწვერვალებს.

ყველაზე გვიანდელია 5-2 მლნ წლის წინანდელი პლიოცენური ფენები, რომლებიც წარმოდგენილია კარგად გამოკვეთილი ხვიჭისა და თიხის მასებით და სანაპირო ქვიშებით, მაგ. აქჩაბატში, ტრაპიზონში, პაზარიში და არდემენში. საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებზე ეს ფენები ზედაპირებს ქმნიან და მხოლოდ განაპირა ადგილებში აქვთ სხვა მინარევები. ეს პლიოცენური დანალექი ფენები ზღვის დონიდან მხოლოდ 50-100 მ-ის სიმაღლეზე გვხვდება.

გეოლოგიური დაზვერვები აჩვენებს, რომ სულ მცირე 2 მლნ. წლის სიძველის გეოლოგიური ფორმირებების შემცველი საკმაოდ სქელი ნატანი ფენები მხოლოდ მათათა მყინვარებში, ღრმა ხეობებში,

სტეპურ ველებსა და მორენულ ტბებში გვხვდება. ალუვიური დანალექი ფენები მდინარის შესართავებთან, ზღვის სანაპიროებზე გვხვდება და მრავლადაა ციცაბო ფერდობებზეც. ხვიჭის და ქვიშის დეპოზიტებით წარმოდგენილი ალუვიური დანალექები, როგორც წესი, თავმოყრილია საკმაოდ ვიწრო და ციცაბო სანაპირო ზოლში ან მდინარეებთან ახლოს.

ბაიბურთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ჰელვას ველსა და აღმოსავლეთ ტრაპიზონში მდებარე ფოლის ველის ზემო ნაწილში მე-19 საუკუნის შუახანებში წიაღისეულის საძიებო სამუშაოებს თუ არ ჩავთვლით, ჩვენი კვლევის რეგიონის გეოლოგიური შესწავლა არ ჩატარებულა. უი. ჯ. ჰამილტონი პირველი იყო, ვინც 1842 წელს გამოაქვეყნა თავისი გეოლოგიური დაკვირვებების შედეგები, რომლებიც მან ამ რეგიონში 1836 წელს თავისი მოგზაურობების დროს აღწერა. რამდენიმე წლის შემდეგ ქ. ჰ. ე. კოხმა გეოლოგიური დაზვერვები განახორციელა ოლტუსა და ნარმანის რეგიონებში, რასაც მოჰყვა პ. დე ჩიჰატჩევის მსგავსი საქმიანობა. 1859 წელს ჰ. აბიჩმა, რომელიც ოლტუსა და ართვინის რაიონებში მუშაობდა, პირველად მოახდინა ამ რეგიონის ზოგადი გეოლოგიის ინტერპრეტაცია. მოგვიანებით ლ. ბატსევიჩმა მდ. ჭოროხის ქვემო წელი შეისწავლა, ა. ლარუამ ტრაპიზონის შემოგარენში არსებული ლეიციტური ქანები გამოიკვლია, ნ.ლ. ლებედევმა - მდ. ჭოროხის ველის ოქროს ქვიშები, ხოლო ა. მარგოლიუსმა - ოლთუს შემოგარენში მარილის წარმოების შესაძლებლობები. ფ. კოსმატმა 1910 წელს გამოაქვეყნა ანგარიში გეოლოგიური დაზვერვების შესახებ, სადაც განიხილა ტრაპიზონის შემოგარენის მინერალური რესურსები. მეორეს მხრივ, ფ. ოსვალდმა შეისწავლა და შესაბამისი შრომაც გამოაქვეყნა რეგიონის ზოგადი გეოლოგიისა და ტექტონიკის შესახებ, სადაც თავმოყრილი იყო წინა წლებში ჩატარებული ყველა კვლევის შედეგი. პირველი მსოფლიო ომის დროს კვლევითი სამუშაოები შეწყდა და მხოლოდ გ. სტრატოლ-სოურმა გამოსცა ნაშრომი ამ რეგიონის გეოლოგიურ-გეოგრაფიული დაზვერვების შესახებ.

სისტემატური გეოლოგიური კვლევა თურქეთში მხოლოდ წიაღისეულის კვლევისა და შესწავლის (MTA) ორგანოს დაარსების შემდეგ დაიწყო. ეს ორგანო 1950-ანი წლების შუახანებამდე სამეცნიერო საზოგადოებას სისტემატურად აწვდიდა კვლევების შედეგებს, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა 1/500.000 მასშტაბის თურქეთის პირველი გეოლოგიური რუკა და სამსუნის, ტრაპიზონის და ყარსის

გეგმები და ჩვენი კვლევის არეალის შესახებ გამოიკა დამატებითი წიგნები.

არქეოლოგიური კვლევების ისტორია

რიგი ძველი წყაროები ცხადყოფს, რომ შავი ზღვისადმი ინტერესი ძველთაგანვე არსებობდა. ამ წყაროებში დაცული მონაცემები უნდა განვიხილოთ სამხედრო, საზღვაოსნო და სავაჭრო ურთიერთობების კუთხით. ფაქტობრივად ეს ინტერესი შუა საუკუნეებშიც გაგრძელდა, რასაც მოწმობს იმდროინდელი საზღვაოსნო მარშრუტების, გადაზიდული ნივთების და პორტების დეტალური აღწერები.

ჩრდილოეთ თურქეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიშებს თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ მრავალი არქეოლოგი უდიდეს სირთულეებს გადააწყდა რეგიონის რთული ლანდშაფტისა და ხშირი მწვანე საფარის გამო. ამის მიუხედავად, პირველი არქეოლოგიური სამუშაოები პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში განხორციელდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის დაარსებისა და შესაბამისი ახალი პოლიტიკის წყალობით, არქეოლოგიური სამუშაოები სწრაფი ტემპით განვითარდა. საგანგებო ინტერესს ხეთური არქეოლოგია იწვევდა, რაც უფრო მეტად გაიზარდა 1930-იან წლებში. ხეთურ ქალაქებში ნაპოვნი წარწერების მიხედვით, ძვ. წ. II ათასწლეულის მე-2 ნახევარში, დღევანდელი თურქეთის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოსახლე ქსაკები დიდ პრობლემას წარმოადგენდნენ ხეთური სახელმწიფოსათვის.

1930-იან წლებში თვლიდნენ, რომ ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ამასიის სულუოვას რაიონში მდებარე ალევითეფე/ქუმბეთთეფესა და ვანში მდებარე თილქითეფეს შორის არქეოლოგიური ნამოსახლარი არ არსებობდა. ი.ქ. კიუკთენის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების წყალობით, რომელიც თურქეთის საისტორიო საზოგადოების ეგიდით მინდინარეობდა 1940 წლიდან, ეს მოსაზრება შეიცვალა. სამსუნის გარშემო ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებთან ერთად გაგრძელდა ზედაპირული დაზვერვითი სამუშაოებიც და 1941 წელს უამრავ გორასამარხს/ყორდანს მიაკვლიეს ბაფრაში, ლადიკში, ჰავზაში, მენზიფონში და ამასიაში. ერთ-ერთი მათგანია იქიზთეფე, რომლის

გათხრები ახლაც გრძელდება ბაფრას დაბლობზე. ი.ქ. კიუკთენმა განაცხადა, რომ მას რიზედან აღმოსავლეთით, სანაპირო ზოლში, 35 კმ-ს მანძილზე არ შეხვედრია პრეისტორიული ხანის არც ერთი არქეოლოგიური ნამოსახლარის კვალი.

1950-ანი წლებიდან მოყოლებული, მრავალი არქეოლოგიური გათხრა და დაზვერვა ჩატარდა თურქეთის მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, შავი ზღვის სანაპირო ზოლში გათხრები არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით იუ. ბ. ალკიმის ხელმძღვანელობით წარმოებულ სამუშაოებს, რომელმაც 1971-1977 წლებში სამსუნის რაიონში სავიწრო დაზვერვები განახორციელა და ჯამში 141 არქეოლოგიური ძეგლი აღნუსხა, მრავალი მათგანი-პირველად.

თუ გადავხედავთ არქეოლოგიური კვლევების შედეგებს, რომელთა ანგარიშების სისტემატური გამოცემა თურქეთში 1983 წლიდან დაიწყო, დავინახავთ, რომ თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შესაბამისი პროექტები 1980-ანი წლების შუახანებიდან მატულობს. 1990-ანი წლების ბოლომდე, პრეისტორიული ძეგლების გათხრების კუთხით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლს დიდი ყურადღება არ ექცეოდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე ადამიანის აქტივობა კაცობრიობის ისტორიის დასაწყისიდანვეა. შესაძლოა, რომ ის დიდი შუალედი, რომელიც სახეზეა უკანასკნელი 10000 წლის ისტორიისათვის ვიდრე ელინისტურ ხანამდე, განსაკუთრებით სანაპირო ზოლში, შეივსება უფრო ფართო და ინტენსიური არქეოლოგიური გათხრების საშუალებით.

რეგიონის ისტორიული გეოგრაფია

ბრინჯაოს მასალა და სხვა არქეოლოგიური მონაპოვარი ცხადყოფს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი სხვაგვარად ვითარდება, ვიდრე ანატოლია. ალბათ, ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი რეგიონის იზოლირებული გეოგრაფიული მდებარეობა უნდა იყოს.

ცნობილია, რომ შავი ზღვის სანაპიროთი ძველთაგანვე ბევრი იყო დაინტერესებული როგორც სამხედრო, ისე კომერციული თვალსაზრისით და ამდენად, მრავალი წყარო იხსენიებს ზღვასაც და მის სანაპიროებსაც. ეს ინტერესი შუა საუკუნეებშიც არ განელებულა და

მრავალი იმდროინდელი ტექსტი და რუკა დეტალურად აღწერს სანაპირო ზოლსა და პორტებს.

თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი მთლიანად განპირობებულია ზღვის სანაპიროთი და მის უკან განლაგებული მთებით. ამ ადგილებში არქეოლოგებს დიდი ჯაფა ადგათ ლანდშაფტის თავისებურებებისა და ხშირი მწვანე საფარის გამო. ამის მიუხედავად, როგორც ვნახეთ, არქეოლოგიური გათხრები აქ მე-19 ს-ის შუახანებიდან ტარდება.

მოსაზრებას, რომ შავი ზღვა თავდაპირველად მტკნარწყლოვანი ვეებერთელა ტბა იყო და მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის წყლის შერევამ გაამარილიანა, სულ უფრო მეტი მეცნიერი ეთანხმება. კვლევები ადასტურებენ, რომ ეს ცვლილება დაახლ. 8400 წლის წინ უნდა მომხდარიყო. ექვგარეშეა, რომ ამ ბუნებრივ კატასტროფას უდიდესი გავლენა ჰქონდა მთელი რეგიონის მოსახლეობისათვის. ამდენად, ნათელია, რომ ქვის ხანაში (პალეოლითში) შავი ზღვა სულ სხვა რამ იყო დღევანდელთან შედარებით.

არქეოლოგიური მასალა

1. კერამიკა: რკინის ხანის კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია ჯამებით. მათ ერთ ნაწილს გამოკვეთილი ტუჩი არა აქვს, მეორეს კი პირის არე გასქელებული და გადმოზნექილი აქვს და ეს წარმოქმნის ჭურჭლის ტუჩს. ძირითადად მათ მრგვალი ფორმა აქვთ, ზოგჯერ კი მკვეთრი ფორმების მხარ-მუცელი ახასიათებთ, ზოგი პირმოკრულია და დაბალ და მაღალყელიანი სფეროსებრი ქილებია. ამოღებული დეკორი გვხვდება როგორც ჭურჭლის პირზე, ისე მხარ-მუცელზე. კერამიკა ძირითადად ბრტყელქუსლიანია, ამოღებული და ჭდეული ორნამენტებით და განიერი მუცლით. იშვიათად ზედაპირი ყავისფერია, უფრო ხშირად, მოყავისფრო-აგურისფერი, აგურისფერი ან კრემისფერია. გვხვდება საკუთრივ თიხისფერიც. კეცის ფერებიდან აღსანიშნავია შავი, ყავისფერი, კრემისფერ-მოვარდისფრო კეცები. თიხა ქვიშისა და ქვის მინარევებს შეიცავს. გამოწვის ხარისხი სხვადასხვაა. არის კარგად, საშუალოდ და ცუდად გამომწვარი ჭურჭელი. მათი უმრავლესობა პრიალაზედაპირიანია და სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული. ზოგი ფრაგმენტი- ძირითადად ჭურჭლის პირები - ხელით ნამერწია, რომლებიც შესაძლოა ადრებრინჯაოს ხანისა იყოს.

სოფ. დიქკაიაში აღმოჩენილი 14 ერთეული კერამიკული მასალა ადრერკინის ხანით თარიღდება და რანდენიმე ჯამის პირის ფრაგმენტებს წარმოადგენს. ერთი ჯამი შედარებით მომცროა. მისი დიამეტრი 14 სმ-ია. ორი ფრაგმენტი შედარებით ღრმა ჯამს ეკუთვნის. თითქმის ყველა ფრაგმენტი ხმარებისაგან ძლიერ გაცვეთილია. ფრაგმენტები ყავისფერ ზედაპირიანია. ამასთან, ზედაპირზე შეიმჩნევა კრემისფერი დანამერწი კოპების ნარჩენები. წითელპირიანა ზედაპირიანი ჭურჭლის მხოლოდ ორი ფრაგმენტია აღმოჩენილი. ადრერკინის ხანისთვის დამახასიათებელ ამოღარულდეკორიან ფრაგმენტებს შორის ერთი იქცევს ყურადღებას - პირის ქვეშ მოთავსებული კოპისებრი შვერილებით. მეორე ფრაგმენტზე ამოღარული ორნამენტი ორი ერთმანეთის გვერდით მოთავსებული „ზიგზაგითაა“ წარმოდგენილი. ამოღარულის გარდა, ზოგიერთ ფრაგმენტზე რელიეფური დეკორი გვხვდება. ორ ფრაგმენტზე ჯვრისებრი რელიეფური დეკორია. თითქმის ყველა ფრაგმენტის კეცი ქვის, ქვიშის და ქარსის მინარევებს შეიცავს. ოთხ კერამიკულ ფრაგმენტში დიდი რაოდენობითაა გარეული ქვა. სამი ფრაგმენტი წმინდაკეციანია. ყველა ფრაგმენტის თიხაში ქარსია გარეული. სამეთუნეო ჩარხის კვალი მხოლოდ ერთ ფრაგმენტზე დასტურდება.

ტრაპიზონ-მაჩკაში მდებარე კონაკდუზუს წინასწარული კვლევების თანახმად, ნანგრევები ადრერკინის ხანით თარიღდება. აქ აღმოჩენილი კერამიკა უმთავრესად ამორფული და პატარა ნატეხებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ძლიერი დანესტიანების გამო ადვილად იმტვრევა. მხოლოდ ერთია ფრაგმენტი, რომლის ფორმის გარკვევაც შესაძლებელია - ესაა პატარა, სწორტანიანი ქილის პირის ნატეხი, რომელსაც ბრტყელი ტუჩი აქვს და წერტილოვანი და ამოღარული დეკორითაა შემკული. მისი პირის დიამეტრის დადგენა ვერ ხერხდება. ძლიერ გაცვეთილი ზედაპირი მოწითალო-მოყავისფროა. კეცის შუაგული ყავისფერია, დიდი რაოდენობით ძალიან პატარა ზომის ქვის, წმინდა ქვიშისა და ქარსის მცირედი მინარევით. გრძელდება როგორც ძეგლის, ისე აღმოჩენილი მასალის შესწავლა.

მაჩკაში, მულაგას ველზე მდებარე კალეჩიკის (მალე) ციხესიმაგრიდან მომდინარე კერამიკა ადრერკინის ხანიდან მოყოლებული ვიდრე შუასაუკუნეების დროინდელი მასალითაა წარმოდგენილი. ადრერკინის ხანის ეს კერამიკა ამავე პერიოდის აღმოსავლეთ ანატოლიურ კერამიკას შეგვიძლია შევადაროთ. აქ აღსანიშნავია ამოღარული დეკორის მქონე ფრაგმენტი - ორ პარალელურ

ზოლს შორის მოქცეული ირიბი ხაზებითა და კიდევ ერთი მუქი-რუხი ფერის პრიალა ზედაპირიანი ჯამის ფრაგმენტი. გრძელდება როგორც ძეგლის, ისე აღმოჩენილი მასალის შესწავლა.

2. ლითონის ნივთები: ვ. ბიტელმა გამოაქვეყნა ბრინჯაოს რამდენიმე ნივთი, რომლებიც თანდართული წერილის თანახმად, ართვინის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა ზათეს რაიონის სოფ. ბალიკლიში მდებარე გამოქვაბულსა და საზასკალეს ტყეში იპოვა და ანკარაში გააგზავნა. იქვე არის ციხესიმაგრე, რომელსაც ხალხი ფამარა დუდუბაღლს ეძახის. აქვე, არჩავის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. ბალიკლია.

ართვინის ყოველწლიურ გამოცემაში არის ინფორმაცია, რომ გზის მშენებლობის დროს თითქოს ერთი ბრინჯაოს ცული უპოვიათ სოფ. დემირქოის მიდამოებში, იუსუფელისთან ახლოს. ეს ინფორმაცია ვ. იუნსალს მიუწოდებია, თუმცა, რაიმე დოკუმენტაციის ან ფოტოსურათის გარეშე. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა არავის შეუსწავლია.

ბრინჯაოს რამდენიმე ცული სტოკჰოლმის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (Statens Historiska Museum). სამუზეუმო ჩანაწერების თანახმად, ისინი სიძველეებით მოვაჭრე კირკირ მინასიანს გაუყიდა 1910 წელს. იქვე აღნიშნულია, რომ ნივთებითურქეთის ორდუს პროვინციდან მომდინარეობს. სულ შვიდი ერთეული კოლხური ცულია, რომლებსაც პარალელები ართვინში ნაპოვნ ცულებთან ეძებნება. პუბლიკაციის თანახმად, ისინი ორდუს შემოგარენში მდებარე გამოქვაბულშია ნაპოვნი, თუმცა ეს ინფორმაცია სანდო არ არის.

არქეოლოგიასთან დაკავშირებით, პოსოფის რეგიონი პირველად 1896 წელსაა ნახსენები, სოფ. მერესში აღმოჩენილი კოლხური განძის გამო. განძი ბრინჯაოს რამდენიმე ნივთს შეიცავს. მათ შორის- შვიდ ცულს, ერთ კაუჭს, ერთ სატეხს, შვიდ სამაჯურს (რომელთაგან ზოგი დეკორირებულია), სატევრის ტარს, ცხენის ლაგმის საყბური და ბრიჯაოსჭურჭლის ნატეხები. გადმოცემით, დღეს ეს მასალა პეტერბურგში, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტშია დაცული და აღრიცხულია, როგორც მეჭჩიზის ციხესიმაგრის მასალა. ეს იგივე მერეს ციხესიმაგრეა, რომელიც სოფ. ჩაკირქოჩის აღმოსავლეთით მდებარეობს, პოსოფის პროვინციაში.

ბ. ი. ბერი, რომელიც აშშ-ს დიპლომატიური წარმომადგენელი იყო ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში, ძალზედ დაინტერესებული იყო არქეოლოგიური მასალის შეძენით და დიდი კოლექციაც შეაგროვა,

რომელიც ათასობით ნივთისაგან შედგებოდა. საბოლოოდ ეს კოლექცია ინდიანას უნივერსიტეტის მუზეუმს გადაეცა საჩუქრად. ამ კოლექციაში შედის ტრაპიზონიდან მომდინარე ნივთების წყება, რომელსაც უ. რუდოლფმა „ტრაპიზონის განძი“ უწოდა. მართალია, მუზეუმის სააღრიცხვო დავთრებში ეს მასალა გატარებულია, როგორც ტრაპიზონის მიმდებარედ ნაპოვნი ნივთები, მაგრამ მათი აღმოჩენის ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია. მაგ. ზოგიერთ ნივთთან დაკავშირებით უ.რუდოლფი აღნიშნავს, რომ ისინი სამსუნის აღმოსავლეთით მდებარე იქიზთეფედან მომდინარეობს. ებას სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარი ბერის კოლექციაში დაცული სპირალური რგოლებისა და გულსაკიდების მსგავსია. ტრაპიზონის განძი, რომელიც ჯამში 578 ნივთს შეიცავს, მთლიანად სამკაულებია და მათი უმრავლესობა ოქროსაგანაა დამზადებული. 1969 და 1978 წლებში ბერიმ წინგებიც გამოსცა, სადაც თავისი კოლექცია გამოაქვეყნა.

ერზრუმისა და ყარსის მუზეუმების საინვენტარო დავთრებისა და მასალის შესწავლის საფუძველზე გამოკვლეული იქნა ოცი ერთეული ბრინჯაოს ყუახვრელიანი ცული. მათგან მხოლოდ სამი ერთეული იქნა აღმოჩენილი მეცნიერული გათხრების დროს, დანარჩენი კი შეისყიდეს. ყარსის მუზეუმში ორი ერთეული ტიპიური კოლხური ცულია დაცული. მათგან ერთი ყარსში შეისყიდეს, მეორე კი თურქეთ-საქართველოს საზღვრისპირა ზონაში, სოფ. გონულაჩანში, რომელიც პოსოფის რაიონული ცენტრის ჩრდილოეთითაა. ორივე მათგანი რიზეს მუზეუმში დაცულ ორ ცულს ძლიერ ჰგავს (სურ. 2. 3,5). ორივე წყვილს თითქმის ერთნაირი ყუა და მომრგავლებული პირი აქვს. ამას გარდა, ერთმათგანს ინკრუსტირებული დეკორი აქვს ორივე ლოყაზე, როგორც რიზეში დაცული ცულებიდან ერთ-ერთს (სურ. 2.5).

გირესუნის მუზეუმის ბრინჯაოს ცულები. გირესუნის მუზეუმში ბრინჯაოს ექვსი ცული იქნა შესწავლილი და დოკუმენტირებული. ყოველ მათგანს სატარე ხვრელი აქვს. ერთი ცული (სურ. 1.3) შესაძლოა გვიანდელი ხანის ბრინჯაოს ოსტატის იარაღი იყოს. სხვა ცულები 2004 და 2008 წელს შეისყიდეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან, რის გამოც ისინი მყარ საბუთად ვერ გამოდგება. მუზეუმს არა აქვს მონაცემები მათი აღმოჩენის ადგილის შესახებ. ამ ცულებიდან ერთ-ერთი (სურ. 1.6) სამსუნის მუზეუმის საინვენტარო დავთარშია გატარებული 1992 წელს, ხოლო 2016-ში იგი გირესუნის მუზეუმს გადაეცა სამინისტროს

ნებართვით. დავთარში ნათქვამია, რომ ცული სამსუნის ჰაეზას რაიონიდან მომდინარეა და იგი მუზეუმმა შეისყიდა.

სურ.1.1. გირესუნის მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 457. შესაძლოა ნივთი შესყიდულია 2004 წელს, ვინმე გ. დემირტაშისაგან. ნივთი მთელია. სატარე ხვრელი განივკვეთში მრგვალია და ცულის შუა ნაწილშია მოქცეული. ყუის ზედაპირი განივკვეთში მრგვალია და წაგრძელებული ჩაქუჩის ფორმა აქვს. სატარე ხვრელის წინა მხრიდან ცულის ტანი ოდნავ ცულისპირისაკენაა დაქანებული. მჭრელი, მომრგვალებული ცულისპირი ცულის ორივე ბოლომდეა გამოყვანილი. სიგრძე - 23.1 სმ; პირის სიგანე - 5.4 ; სატარე ხვრელის დიამეტრი - 2.9 სმ.

სურ. 1.2. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 442. შესაძლოა ნივთი შესყიდულია 2004 წელს, მ. იუიუსელისაგან. ნივთი მთელია. სატარე ხვრელი განივკვეთში წამახვილებული ოვალის ფორმისაა. ყუას ჩაქუჩის ფორმა აქვს, ზედა და ქვედა მხრიდან წაგრძელებულია. სატარე ხვრელის გარედან ორივე მხრეს დატანილი აქვს ღარი, რომელიც ცულის ტანზე გრძელდება. განივკვეთში ექვსკუთხედი ტანი ცულისპირისკენ უეცრად მიემართება და მის ქვედა ბოლოსკენაა დაქანებული. ცულის პირი გორდა და ასიმეტრულია, ზედა ბოლო წამოწეული და წამახულია. ცულისპირი მჭრელია, რკალისებური. სიგრძე - 15.8 სმ; პირის სიგანე 6.6 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი - 2.2X3.7 სმ.

სურ. 1.3. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 443. შესაძლოა ნივთი შესყიდულია 2004 წელს, მ. იუიუსელისაგან. ნივთი მთელია. სატარე ხვრელი განივკვეთში მრგვალია. ცულს მახვილი, წაწვეტებული ყუა აქვს. ცულის ზედაპირზე ყალიბის კვალი შეიმჩნევა. თუმცა ეს იარაღი იმ ჩაქუჩს ჰგავს, დღეს რომ სპილენძის მსხმელი ოსტატები იყენებენ. ნივთი შესყიდულია. სიგრძე - 20.8 სმ; პირის სიგანე- 0.7 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი - 2.0 სმ.

სურ. 1.4. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 530. შესაძლოა ნივთი შესყიდულია 2008 წელს, ი. კარაჩირისაგან. ნივთი მთელია. სატარე ხვრელი განივკვეთში მრგვალია. ყუას დატანილი აქვს სამი მკვეთრად გამოსახული “წიბო“ ზედა ბლოებში თითო პატარა კოტისებრი გამონაზარდება. სატარე ხვრელის გარშემო ორი მსხვილი ღარია დატანილი. სატარე ხვრელის ქვემოთ ტანი წვრილდება. ცულს მჭრელი, მორკალული პირი აქვს. სიგრძე - 16.2 სმ; სიგანე 6.4 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი - 2.7 სმ.

სურ. 1.5. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 458. შესაძლოა ნივთი შესყიდულია 2008 წელს, გ. დემირტაშისაგან. ნივთი მთელია. სატარე ხვრელი განიკვეთილი მრგვალია. ყუა შუაში ამობურცული და მახვილია. ყუის მკვეთრი „წიბო“ („ქედი“) სატარე ხვრელს გარშემო შემოუყვება და შემდეგ ტანისაკენ გრძელდება. სატარე ხვრელის ორივე გარე კედელსაც მიუყვება. ტანის ზედა ბოლო ოდნავ შევიწროებული და ამობურცულია, ქვედა ბოლო კი ბრტყელი. აქვს მჭრელი, მომრგვალებული პირი. სიგრძე - 8.2 სმ; პირის სიგანე 2.9 სმ. სატარე ხვრელის დიამეტრი - 1.6 სმ.

სურ. 1.6. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 37. სამინისტროს ნებართვით ნივთი სამსუნის მუზეუმისაგანაა მიღებული 2016 წლის 23 აპრილს. დაზიანებულია. აკლია სატარე ხვრელის ნაწილები, ასე რომ, მისი მოყვანილობა მთაღდ გარკვეული გაურკვეველია. ცულის ტანი ოვალურია და პირისაკენ მიემართება. ოვალური და მჭრელი პირი ბოლოსკენაა წაზიდული. შემონახული ნაწილის სიგრძე - 10 სმ, პირის სიგანე - 4.6 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი გაურკვეველია.

რიზეს მუზეუმის ბრინჯაოს კოლხური ცულები. შესწავლილი და დოკუმენტირებულია რიზეს მუზეუმში დაცული 5 ერთეული ბრინჯაოს ცული (სურ. 2). მათგან ოთხი ერთეული, კერძოდ, კოლხური კულტურის ბრინჯაოს ცულები, სტამბოლის ბაზრიდან იქნა ამოღებული 1998 წელს, სადაც ისინი გასაყიდად წაიღეს, საბოლოოდ კი რიზეს მუზეუმს გადაეგზავნა. ერთი ცული ბ. ერგუნმა გაატარა და აღწესდა 1993 წელს. ეს ცულები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია. რიზეს მუზეუმის მიერ განხორციელებული მოკვლევის წყალობით ცნობილი გახდა, რომ ისინი განძის მამიებლებმა აღმოაჩინეს სოფ. დიქკაიაში (მეკალისკირტი), ჩამლიჰემინი. მუზეუმის დავთრებში შეტანილია ამ ცულების „სტამბოლის ტყვეობიდან“ გამომხსნელი პირის ვინაობა. ეს ვითარება და მათი ტოპოლოგიური მსგავსება - ოთხივე კოლხური ცულია - გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთი ადგილიდან მომდინარეობენ. მეზუთე ცული, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია, სხვებზე უფრო ძველია და მას ძვ. წ. III ათასწლეულის ცულებთან ეძებნება პარალელი.

სოფლების დიქკაიასა და ბეჰისეს ზედა უბნები მდ. ფირტინას ველის დასავლეთ ნაწილშია გაშენებული, სადაც ლანდშაფტი უფრო მოსწორებულია. სოფ. დიქკაიას ერთი უბანი, ჩაი (ნაჰრა მეკვი) კლდის კიდეზეა გაშენებული, რომელიც ველს ზემოდან დაჰყურებს. მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ცულები კლდის კიდის ჩრდილო ნაწილში

უპოვიათ. ადგილზე კერამიკული მასალაც ნახეს, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით თარიღდება.

სურ. 2.1. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 1.1.1993. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 24.09.1993. მუზეუმმა ნივთი ბ. ერგუნისაგან შეისყიდა. ცულისპირი დაზიანებულია. ცული გაღუნულია მრგვალი ყელიდან პირამდე. დაქანებულია პირიდან მომრგვალო ფორმის სატარე ხვრელამდე. ტანი სატარე ხვრელიდანვე თხელდება. ეს უკანასკნელი გვერდებში გაბრტყელებულია. ტანი გრძელია და მართკუთხა, სწორი კიდეებით. პირი შედარებით ბრტყელია, ზედაპირი კი გლუვია. სიგრძე - 16 სმ; პირის სიგანე - 5 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი - 2.3 სმ.

სურ. 2.2. რიხეს მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 1.1/2004. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 22.12.1999. შემოსულია სტამბოლიდან. ცულს ჩაქურჩისებრი ფორმის ყუა აქვს და თავსა და ბოლოში ოდნავ გამოშვერილია. სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური ფორმისაა. ცულის ზედა ნაწილს ორივე მხარეს პარალელური ღარები დაუყვება. ტანი განივკვეთში ექვსკუთხაა. გორდა და ასიმეტრული პირი ნაწილობრივ მომრგვალებულია. პირი ბლაგვია და წრიული ფორმა აქვს. სიგრძე- 20 სმ.; პირის სიგანე - 7 სმ.; სატარე ხვრელი - 2.6 X 4.7 სმ.

სურ. 2.3. რიხეს მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 1.1/2004. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 22.12.1999. შემოსულია სტამბოლიდან. ცულს მახვილი, შუაში ოდნავ ჩაწეული ყუა აქვს. სატარე ხვრელი წვეტიან-ოვალური ფორმისაა. ტანის ორივე მხარეს ნაწიბური დაუყვება. ტანი განივკვეთში ექვსკუთხაა. პირი მომრგვალებულია, ის ბლაგვია და წრიული ფორმა აქვს. სიგრძე- 16 სმ; პირის სიგანე - 5.2 სმ. სატარე ხვრელი - 2,0 X 4.1 სმ.

სურ. 2.4. რიხეს მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 4.1/2004. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 22.12.1999. შემოსულია სტამბოლიდან. ნივთი მთელია. აქვს დაბრტყელებული ჩაქურჩისებური ყუა, რომელიც ზედა და ქვედა ბოლოებისკენ წამოწეულია. სატარე ხვრელი ოდნავ წაწვეტებული და ოვალური ფორმისაა. ცულის ზედა ნაწილი ორივე მხარეს დეკორირებულია ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ღარებით და ორ-ორი განივი ხაზით. ტანი განივკვეთში ექვსკუთხაა. პირის ზედა კუთხე წამახულია. გორდა დასიმეტრული პირი ბლაგვია და წრიული ფორმა აქვს. სიგრძე - 18 სმ.; პირის სიგანე - 6.5 სმ.; სატარე ხვრელი - 2 X 4.1 სმ.

სურ. 2.5. რიზეს მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 4.1/2004. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 22.12.1999. შემოსულია სტამბოლიდან. ყუა და ნახევარი სატარე ხერელი დაკარგულია. სატარე ხერელი განიკვეთში ოვალურია. ორივე მხარეს თითო ღარი დაუყვება. ტანი განიკვეთში ექვსკუთხაა. მომრგავალებული პირი ბლაგვია და წრიული ფორმისაა. ტანი სხვადასხვა ხაზობრივი ორნამენტითაა მორთული. მის ზედა ნაწილში, სატარე ხერელის წინ შედარებით ვიწრო ჩაღრმავებაა, რომელიც დიაგონალური ხაზებითაა მორთული, რასაც სამკუთხედებით მორთული უფრო ფართო ჩაღრმავება მოსდევს. ცულის პირზე გაურკვეველი ფორმის ფიგურაა გამოყვანილი. არის კიდევ ერთი ფართო ჩაღრმავება, რომელიც ტანს მთელ სიგრძეზე დაუყვება და სხვადასხვა მხარეს მიმართული დიაგონალური ხაზებითაა მორთული. ტანის ერთ-ერთ მხარეს ფრთოსანი ფიგურაა გამოსახული. მეორე მხარესაც რაღაც ფიგურაა, თუმცა, ძლიერი ცვეთის გამო, მისი ფორმების გარკვევა შეუძლებელია. სიგრძე- 13,0 სმ; პირის სიგანე - 5.5 სმ; სისქე: სატარე ხერელი - 2.2 X 4 სმ.

ბრინჯაოს ცულები სამსუნის მუზეუმიდან. სამსუნის მუზეუმში შესწავლილი და დოკუმენტირებული იქნა რვა ერთეული ბრინჯაოს ყუახერელიანი ცული (სურ. 3). ზოგი მათგანი მუზეუმმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეიძინა. მართალია, მათი აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია, მაგრამ მუზეუმის საინვენტარო ნუსხებში მითითებული ცულების მომტანთა მისამართები პირობითად მიჩნეულია მათი აღმოჩენის ადგილად. ეს არ ეხება ორ ცულს (სურ. 3. 4, 8);, რომლებიც ადრე უკვე გამოქვეყნდა.

სურ. 3.1. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 11.1/1984. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 20.12.1984. შესყიდულია თ. ტავაკისაგან, რომელიც სამსუნის ცენტრში ცხოვრობს. ნივთი მთელია. სატარე ხერელი განიკვეთში მრგვალია. ტანი ოდნავ ქვემოთკენაა დახრილი. პირი რკალისებურია. სატარე ხერელის ორივე მხარე ოდნავ გაბრტყელებულია. ტანის ზედა და ქვედა ბოლოები ბრტყელია. ყუის კეფა მახვილია, გადაუვლის სატარე ხერელს და პირისაკენ მიემართება ისე, რომ სიგანეს არ იცვლის. სიგრძე- 13.4 სმ; პირის სიგანე - 2 სმ; სატარე ხერელის დიამეტრი - 3 სმ.

სურ. 3.2. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 10.1/1970. ნაპოვნია სოფ. გენგიუში, ბარფას რაიონში. შესყიდულია ი. ოუნდერისაგან. მცირედი ნაპრალი აქვს გაცვეთილი პირის ზედა ნაწილში. სატარე

ხვრელის ქვემოთ, ორივე მხარეს გამოყვანილია თითო ბრტყელი კოტი. ზედა კოტი უფრო განიერია. მომრგვალებული სატარე ხვრელის ორივე მხარეს ძგიდეა, რომელიც ტანის ორივე მხარეს გრძელდება. ნახევრადწრიული, ფართე ზურგიანი ყელი სატარე ხვრელს ზემოდან და ქვემოდან გადაეკლება. კოტების ქვემოთ ტანი თხელდება და შემდეგ, პირისაკენ, კვლავ სქელდება. ტანის ზედა და ქვედა ბოლოები მომრგვალებულია. მახვილი პირი რკალისებურია. სიგრძე - 18.1 სმ.; პირის სიგანე - 6,0 სმ.; სატარე ხვრელის დიამეტრი - 3,0 სმ.

სურ. 3.3. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 15.1/1976. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 29.09.1976. შესყიდულია შ. დადღეულისაგან, რომელიც ჰავზაში ცხოვრობს. ნივთი მთელია. ოვალური და წაწვეტებული სატარე ხვრელის ორივე მხარეს სამი ღარია, რომლებიც ცულის ტანისკენ გრძელდება. ყუა ფართოა და თითქმის ბრტყელია, რომელიც უმნიშვნელოდ ფარავს ხვრელის ზედა და ქვედა ბოლოებს. ხვრელის ბოლოებს მახვილი კიდეები გადაუდის ზემოდან, თავსა და ბოლოში. ამ ადგილას ტანი ოდნავ ვიწროვდება, მერე კი, ცულის პირისაკენ ფართოვდება. სატარე ხვრელის ქვედა ნაწილთან ორი პატარა კოტია გამოშვერლი. რკალისებური პირი წამახვილებულია. ზედაპირი პოროვანია. სიგრძე- 16.2 სმ; ორის სიგანე - 5.5 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი- 2.3 X 4.5 სმ.

სურ. 3.4. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 12.6/2001. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 20.12.2001. შესყიდულია ა. ბეშირისაგან, რომელიც ვეზირქოფრუში ცხოვრობს. ყუა ნახევარწრიულია, წამახვილებული და გრძელია. პატარა დაზიანებებია გამოშვერილი კოტის ბოლოსა და სატარე ხვრელის ზონაში. ყუასა და სატარე ხვრელის გარე კედლებს ორივე მხარეს სამი ღარი დაუყვება. სატარე ხვრელი მრგვალია. სატარე ხვრელს შიდა მხრიდან საკმაოდ დიდი კოტი აქვს დატანილი. ამ ადგილას ტანი ოდნავ ვიწროვდება, მერე კი, ცულის პირისაკენ ფართოვდება. მახვილი პირი თითქმის ბრტყელი და გლუვია. სიგრძე- 18.2 სმ; პირის სიგანე - 7.3 სმ; სისქე: სატარე ხვრელის დიამეტრი- 3.2 სმ.

სურ. 3.5. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 9.1/1987. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 13.12.1986. შესყიდულია რ. ტაშისაგან, რომელიც სამსუნში ცხოვრობს. ყუა ზედა ნაწილში ამობურცული და ბოლოებში წაწვეტებულია, ჭრილში მას წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს. სატარე ხვრელი განიკვეთში მრგვალია. ტანი უმნიშვნელოდ გადაედინება სატარე ხვრელის წინ. რომელიც ფართო ყუას აგრძელებს

თითქმის ყუისავე სიგანეზე, შუა ნაწილიდან ცულისპირისკენ ფართოვდება და ცულისპირის ზემო ნაწილში ოდნავ გამოშვერილია. სქელი ტანის ზედა და ქვედა კიდეები მომრგვალებულია. მახვილი პირი რკალისებურია. სიგრძე- 18.5 სმ; პირის სიგანე -4.6 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი- 2.1 სმ.

სურ. 3.6. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 5.1/1998. მუზეუმში შემოსვლის თარიღი გაურკვეველია. სამუზეუმო ჩანაწერების მიხედვით, ნაპოვნია სამსუნში და შესყიდულია რ. ტაშისაგან. ზედაპირზე დაზიანებების კვალია. ყუის ზედაპირი მომრგვალებულია. სატარე ხვრელს განიკვეთში წამახვილებული ოვალის ფორმა აქვს. სატარე ხვრელის უკან, ზედა ნაწილი ოდნავ შესქელებულია. წინა მხრიდან აშკარად ეტყობა შემადღება, ზემო მხარეს კი მხოლოდ ოდნავ შემადღებულია. ცულის ტანის ქვედა ნაწილი უფრო შეზნექილია, ვიდრე ზედა. კიდეები გამსხვილებულია. სატარე ხვრელის გვერდებიდან ცულის ტანი ვიწროვდება და პირისაკენ ისევ ფართოვდება. პირი მახვილია და ოდნავ მომრგვალებული. სიგრძე- 14.1 სმ; პირის სიგანე - 5.5 სმ; სატარე ხვრელის სიგანე - 1.8x 3.7 სმ.

სურ. 3.7. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 2.1/1985. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 21.05.1985. შესყიდულია ნ. აპაიდინისაგან, რომელიც ორდუში ცხოვრობს. ნივთი მთელია. განიკვეთში სატარე ხვრელი მრგვალია, ხვრელის მონაკვეთი ხაოიანია, ჩაქუჩით დამუშავების გამო, თუმცა ფორმა არ არის დარღვეული და განიკვეთში ეს მონაკვეთიც მრგვალია. ჩაქუჩისებრთავიანი ყუა სატარე ნახვრეტისკენ ვიწროვდება. მახვილი ზოლები, რომლებიც ხვრელის წინა მხრიდან იწყება, მთელ ტანს გაუყვება და პირამდე მიდის. სქელი ტანის ზედა და ქვედა კიდეები მახვილია და „უეცრად“ ბოლოვდება. დაბალი პირი რკალისებურადაა მომრგვალებული. სიგრძე- 13.5 სმ; პირის სიგანე - 4.1 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი- 2 სმ.

სურ. 3.8. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 2010/156A. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 20.12.2010. შესყიდულია ა. იაილასაგან, რომელიც თექექოს სოფ. კარაპერჩინში ცხოვრობს. ნივთი მთელია. მრგვალ სატარე ხვრელის ქვემოთ ორივე მხრიდან თითო გრძელი კოტი აქვს გამოშვერილი, რომლებსაც წაწვეტებული ბოლოები აქვს. ტანი წვრილი და გრძელია. საკმაოდ იშვიათი სახეობის ფორმაა. ყუა ჩაქუჩისებრია. რკალისებური პირი ბოლოებში ფართოვდება. განიკვეთში

ტანი კვადრატულია. სიგრძე- 27.8 სმ; პირის სიგანე - 3.5 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი- 1.8 სმ.

ბრინჯაოს ცულები ტრაპიზონის მუზეუმიდან. ტრაპიზონის მუზეუმში შესწავლილი და დოკუმენტირებული იქნა ბრინჯაოს 10 ერთეული ყუახვრელიანი ცული (სურ. 4). სამწუხაროდ, მათი აღმოჩენის ადგილი უცნობია. ასევე უცნობია, თუ როგორ აღმოჩნდნენ ისინი მუზეუმში.

სურ. 4.1. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # A715. მუზეუმში ნივთის აღმოჩენის ადგილის ან მისი მომწოდებლის შესახებ ინფორმაცია არ არის. ნივთი მთელია. ზედაპირზე ეტყობა დაჟანგვისა და ცვეთის კვალი. სატარე ხვრელი თითქმის მრგვალია და მოკლე. განიკვეთში მართკუთხა, გამრუდებული ტანი სატარე ხვრელიდან იწყებს გაფართოებას და პირამდე ფართოვდება. ტანის ზედა და ქვედა კიდეები სწორია, ცულისპირი ოდნავ მორკალული. სიგრძე- 12. 7 სმ; პირის სისქე - 4; სატარე ხვრელის სიგანე- 2x2.9 სმ.

სურ. 4.2. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი #26. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 01.08.1974. შესყიდულია. ნივთი მთელია. მოკლე ყელი აქვს, რომლის ბოლოც ბრტყელია. წამახვილებული ოვალის ფორმის სატარე ხვრელს გვერდებზე ორი ღარი დაუყვება. ტანი სატარე ხვრელიდანვე ფართოვდება პირის მიმართულებით, რომლის წინა მხარე ოდნავ ხაოიანია. ტანის კიდეები მომრგვალებულია, ცულის პირი - რკალისებური. სიგრძე- 16. 2 სმ; სიგანე: პირის სიგანე 5.5სმ; სატარე ხვრელის სიგანე- 2.7 x4.5 სმ.

სურ. 4.3. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 659. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 02.03.1989. ჩამოერთვა 3. ქუჩუკოსმანს. ნივთი მთელია. ზედაპირზე ეტყობა დაჟანგვისა და ცვეთის კვალი. გამრუდებულია წამახვილებული ყუიდან ცულისპირამდე. ტანი ოვალური განიკვეთის მქონე სატარე ხვრელიდანვე ფართოვდება ცულისპირის მიმართულებით. ტანის კიდეები მომრგვალებულია, ცულისპირი - რკალისებური. სიგრძე- 12. 6; პირის სიგანე - 4.6სმ; სატარე ხვრელის სიგანე- 1.2 x 2.0 სმ.

სურ. 4.4. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 25. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 06.08.1974. შესყიდულია. ნივთი მთელია. სატარე ხვრელი განიკვეთში ოვალურია, ყელი მრგვალი აქვს. სატარე ხვრელის წინა დ უკანა ნაწილები ბოლოსაკენაა დაკიდული. ხვრელის წინა მხრიდან მცირე წანაზარდი აღინიშნება, რომელიც ზედა კიდის

გასწვრივაც შეიმჩნევა. ქვედა კიდე ღრმად შეზნექილია. ცულის ტანი, რომელიც საკმაოდ უხეშზედაპირიანია, ზედა და ქვედა კიდეებთან თხელდება, შუა ნაწილი კი საკმაოდ სქელია. მახვილი და რკალისებური პირი ზედა და ქვედა ბოლოებისაკენ ფართოვდება, ორივე კუთხე წაკვეთილია. სიგრძე- 17. 8 სმ.; პირის სიგანე - 8.6 სმ; სატარე ხვრელის სიგანე- 2.7 x 4.0 სმ.

სურ. 4.5. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 1977. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 22.10.2007. შესყიდულია ი. ისკანდერისაგან. ყელთან აკლია ყუის ნაწილი. სატარე ხვრელი ოვალური უნდა ყოფილიყო. ტანი სატარე ხვრელიდანვე ფართოვდება ცულისპირისაკენ, რომლის ქვედა ბოლო უფრო დაკიდულია ზედასთან შედარებით. ტანის ზედაპირი უხეშია და მისი ზედა კიდე ბრტყელია, ქვედა კი მახვილი. მახვილი ცულისპირი რკალისებრია. მისი ზედა კუთხე წაწვეტილებულია, ქვედა კი მომრგვალებული. დარჩენილი სიგრძე- 13 სმ; ფაქტობრივი სიგრძე -17 სმ; პირის სიგანე - 7 სმ; სატარე ხვრელის სავარაუდო სიგანე- 3 x 4.0 სმ.

სურ. 4.6. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 654. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 21.10.1988. შესყიდულია მ. ტაბაკოღლუსაგან. საკმაოდ თხელკედლიანი სატარე ხვრელის ერთი მხარე დაიკარგა, ბოლოები მოუხრიათ და ამდენად, მისი სიგრძე შეუმცირებიათ. ახლა ის განიკვეთილი ოვალურია. ზედაპირზე რაღაც სითხეც გადაუსხამთ და კოროზიის კვალიც შეიმჩნევა. აშვერილი ყელი, რომელიც მოხრის გამო გვერდზეა გადაქანებული, ზედა ნაწილში ჩამოსხმის დროს ლითონის გადმოდინების კვალს ატარებს. სატარე ხვრელი ზემოთ და ქვემოთ წამოწეულია. განიკვეთილი ცულის ტანი კიდეებთან თხელი, ხოლო შუაში სქელია, ზედა და ქვედა კიდეები ჩაზნექილი აქვს. ცული პირისაკენ ტანის შუიდან ფართოვდება. პირი მახვილია და რკალისებური ფორმა აქვს. ცულისპირზე და ყუაზე ნაკაწრებია, რომლებიც გვიანდელია, ალბათ, ლითონის ხარისხის დასადგენადაა გაკეთებული. შემორჩენილი სიგრძე: 12.5 სმ.; თავდაპირველი სიგრძე - 13.5 სმ; პირის სიგანე - 6.5 სმ; სატარე ხვრელის სავარაუდო სიგანე - 2.5 x 3.5 სმ.

სურ. 4.7. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 24. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 06.08.1974. შესყიდულია. პატარა ნაპრალია ცულისპირის ზედა მხარეს. ზედაპირი გლუვია. სატარე ხვრელი მრგვალია. ყუა მომრგვალებულია და ოდნავ ხაოიანი. სატარე ხვრელის ზედა და ქვედა ბოლოები ოდნავ გამოზერილია. ხვრელის წინ, თავზე

პატარა „კოპია“ ამოზიდული. სატარე ხვრელიდან ცულის ტანი მაშინვე წვრილდება და ქვემოთ ეშვება. მისი კიდეები მომრგვალებულია. ტანი ცულისპირისაკენ ფართოვდება, რომელიც შედარებით ბრტყელია და მახვილი. ცვეთასთან ერთად, ცული ერთ მხარესაა გაღუნული, რაც ძლიერი დარტყმითაა გამოწვეული. სიგრძე- 13 სმ; პირის სიგანე - 5.5 სმ; სისქე: სატარე ხვრელთან -3 სმ.; ტანის ცენტრში - 0.8 სმ. სატარე ხვრელის დიამეტრი - 2.1 სმ.

სურ. 4.8. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 180. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 02.01.1978. შესყიდულია მ. იუზქარაბეჭირისაგან. ცულისპირის ქვედა კუთხის მცირედი ნაწილი დაკარგულია. სატარე ხვრელი განივკვეთში ოვალურია და ბრტყელი. მოკლე ყუა თავსა და ბოლოში გამოშვებულია და ორივე გვერდზე ღარები დაუყვება. ცულის ტანი ამობურცულია და განივკვეთში სამკუთხაა, ცულისპირისკენ ფართოვდება და მისი ქვედა კუთხისკენაა დაკიდული. ცულისპირის ზედა კუთხე წამოშვებულია. პირი ზღაგვია და რკალისებური. სიგრძე- 13.6 სმ; პირის სიგანე -4.8 სმ; სატარე ხვრელის სიგანე - 2.5 x 3.6 სმ.

სურ. 4.9. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # 180. მუზეუმში შემოსვლის თარიღია 02.01.1978. შესყიდულია. ნივთი მთელია. ზედაპირი უხეშია. მახვილი ყელიდან ცულის პირამდე გამრუდებულია. ტანი ოვალური სატარე ხვრელიდან პირის მიმართულებით ფართოვდება. ხვრელის ორივე მხარეს და თავზე სხვა ლითონისაგან ჩამოსხმული წრფივი ინკრუსტირებული ორნამენტები აქვს. ტანის კიდეები მომრგვალებულია. ცულისპირი უხეშზედაპირიანია. პირი რკალისებური. სიგრძე- 22 სმ; პირის სიგანე -10.1 სმ; სატარე ხვრელის სიგანე - 4 x 5 სმ.

სურ. 4.10. მუზეუმის საინვენტარო დავთრის ინვენტარი # A713. გაურკვეველია, როგორ აღმოჩნდა მუზეუმში. ნივთი მთელია. ზედაპირი უხეშია. მრგვალი ყელიდან ცულის პირამდე გამრუდებულია. ყელის ქვედა ნაწილი დაკიდულია. სატარე ხვრელი მრგვალია. ტანს გამოზერილი გვერდები აქვს, კიდეები კი მომრგვალებული და ცულის პირისკენ ფართოვდება. ცულის პირი რკალისებურია. ტანის ძირი შეზნექილია. სიგრძე- 11.6 სმ; პირის სიგანე -6.4 სმ; სატარე ხვრელის დიამეტრი -2.4 სმ.

ბრინჯაოს ცულები ართვინიდან. კ. ბიტელი თურქეთში არქეოლოგიურ გათხრებს 1931 წლიდან აწარმოებდა. თურქეთის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ჟურნალის პირველსავე

ნომერში (1931 წლის ივლისი) მოხსენიებულია ართვინში ნაპოვნი ბრინჯაოს ცული. ეს სამუშაოები, რომლებიც საქართველოს არქეოლოგიისათვისაც მნიშვნელოვანია, იმავეთვე იქცევდა ქართველ მეცნიერთა ყურადღებას (დ. ქორიძე, აღ. რამიშვილი და სხვ.).

სკოლის დირექტორის მიერ ანკარაში გაგზავნილი ცულები მნიშვნელოვანი მასალაა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონის ისტორიის შესასწავლად. თანდართულ წერილში სკოლის დირექტორი უთითებს, რომ ცულებს სოფ. ბალიკლის ზატეს უბანში, საზასკალეს ტყეში მიაგნო. ამ ტყეში ცისის ნანგრევებია, რომელსაც ადგილობრივები ფამარა დუდუბალს ეძახიან. გაურკვეველია, თუ რამდენად არის ეს ადგილი სოფ. ბალიკლი, რომელიც ასრჩავის სამხრეთ-აღმოსავლეთით და შავშათის ჩრდილოეთით მდებარეობს. თუმცადა, ო. აიტეჩინი ამტკიცებს, რომ ხსენებული ადგილი საზერდელეშიასაძებარი, რომელიც, საქართველოს საზღვართან სულ ახლოს მდებარე სოფ. აკბიკის (ბზათას) ერთ-ერთ უბანში, შავშათიდან 23 კმ-ს მანძილზეა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. გარდა ამისა, აქვეა თამარის ციხე (პარის კალესი), რომელიც ქართველთა თამარ მეფეს (1184-1213 წწ.) აუგია თუ განუახლებია. ეს ინფორმაცია სავსებით ესადაგება იმ წერილში მოხსენიებულ ტოპონიმებს, კ. ბიტელი რომ იშველიებს.

საქართველოში არაერთი მსგავსი ბრინჯაოს ცულია აღმოჩენილი. ამგვარი ცულები, მაგალითად, ცნობილია თხილნარის განძიდან (ა. კახიძე, შ. მამულაძე 2000), მაკვანეთის განძიდან (აღ. რამიშვილი 1974) და სხვ. ისინი ართვინის განძის ორი ცულის (სურ. 29. 1.2), ასევე ორდუსა და პოსოფის განძების თითო ცულის მსგავსია. შესაბამისად ისინი ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის I ტიპის ანუ დ. ქორიძის III სახეობის ბრინჯაოს კოლხური ცულებია. ორდუს განძის გარდა, რომლის აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია, ეს ცულები საქართველოსთან ახლოს მდებარე გეოგრაფიული არეალიდან მომდინარეობენ. ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციის I ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცულები უკვე მკ. წ. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ფართოდაა აღმოსავლეთ შავიზღვისპრეთში გავრცელებული.

უკვე ითქვა, რომ სოფ. ბალიკლის ცულები გამოქვაბულში იპოვეს და არა არქეოლოგიური გათხრების დროს, თუმცა, სავარაუდოდ, ისინი სხვაგან აღმოაჩინეს და გამოქვაბულში მოგვიანებით მიიტანეს. ამის გამო, კ. ბიტელმა დაუშვა, რომ ისინი, შესაძლოა მჭედლის საკუთრება ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ნივთებს შორის აღმოჩენილი ბრინჯაოს

ზოდის არსებობაც ამყარებს. რაც უნდა იყოს, ნივთების აღმოჩენის ადგილისა და მათი გამოქვაბულში გადატანის დრო სამუდამოდ გაურკვეველი დარჩება.

ამ საკითხის ირგვლივ კიდევ ერთი გაურკვეველობაა, რომელიც უ. ესინის მიერ ნახსენებ „ბალიკლის აღმოჩენებს“ უკავშირდება. 1940 წელს, ბალიკლიში ერთი ნაგებობის საძირკვლის გათხრისას, რომლის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შედგენისას გამოყენებულია სახელი „ჩორუხი“, აღმოაჩინეს სპილენძის ზოდი, სპილენძის ყუამილიანი ცული და ე.წ. „აიდემირისპირიანი“ ცული. უ. ესინი აღნიშნავს, რომ ამ მასალასა და კ. ბიტელის მიერ გამოქვეყნებულ ლითონის ნივთებს შორის დიდი მსგავსებაა, კერძოდ, „აიდემირისპირიანი“ ცულსა და სპილენძის ზოდს შორის, და ამბობს, რომ ბალიკლიში ნაპოვნ ერთ-ერთ ნივთსაც სატარე ხვრელთან ისეთივე პატარა სამოქლონე ხვრელი აქვსო. უ.ესინის თანახმად, ყუახვრელიანი ცული კ. ბიტელის გამოქვეყნებულ ცულებს ჩამოჰგავს, მაგრამ ისინი სრულიად იდენტურები არ არიან. უ. ესინმა სპილენძის ზოდს მიანიჭა "pl. 87.5" ნომერი, "pl. 42.1" - ყუამილიანი ცულს, ხოლო "pl. 42.2-3" - მეორე ცულს. სამწუხაროდ, მისი ნაშრომის მეორე ტომის გამოცემა ვერ მოხერხდა და ამის გამო, მათი ილუსტრაციების ნახვა შეუძლებელია. ამას გარდა, გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ლითონში 16.66% დარიშხანია დამატებული.

ბრინჯაოს ცულები დემირქოიდან/ნიზგივანიდან. როცა ველი იუნსალი ართვინის იუსუფელის რაიონში არქეოლოგიურ კვლევებს აწარმოებდა, მან შეიტყო, რომ რაიონული ცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ღრმად შეჭრილ ველზე მდებარე დემირქოიში ბრინჯაოს რამდენიმე ცული ეპოვათ. მან ეს ინფორმაცია კი გამოაქვეყნა რეგიონის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში, მაგრამ რაიმე დამადასტურებელი მასალა, სურათი ან ფოტო არ წარმოუდგენია. მათი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ვერც ამ ხსენებულ ცულებს მივაკვლიეთ. შესაძლოა, ისინი ბალიკლიში აღმოჩენილი ცულების მსგავსი ყოფილიყო.

ბრინჯაოს ცულები ორდუდან. სტოკჰოლმის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში (Statens Historiska Museum) ბრინჯაოს რამდენიმე ცული ინახება სარეგისტრაციო ნომრით 15,576. ჩანაწერების თანახმად, ისინი 1910 წელს პარიზში შეუძენიათ სიძველეებით მოვაჭრე ვინმე კირკორ მინასიანისაგან. აღნიშნულია, რომ მასალა თურქეთიდან,

ორდუდან მოდის. ამდენად, სამეცნიეროლიტერატურაში ისინი ცნობილია „ორდუს ბრინჯაოს ცულების“ სახელით.

ამ კოლექციაშიც შვიდი ნივთია. სტოკჰოლმის ისტორიის მუზეუმში შვიდიდან მხოლოდ ოთხი ცულია დაცული, დანარჩენი სამის მხოლოდ ფოტოსურათი არსებობს, საკუთრივ ცულები კი დაკარგულია.

მასალა ს. პრჟეგორსკიმ შეისწავლა 1935 წელს და ჩეხოსლოვაკიის აღმოსავლური მეცნიერებების ინსტიტუტის (Československý Orientální Ústav V Praze) ჟურნალის მე-7 (1935) და მე-8 (1936) ტომებში მათ შესახებ ზედმიწევნით დეტალური ინფორმაცია გამოაქვეყნა. მისი თქმით, ცულები ორდუს ახლოს, გამოქვაბულში უპოვიათ.

ორდუს განძის კოლხური კულტურის განძია და, შესაბამისად, მასში შემავალი ნივთებიც ამ კულტურის კუთვნილებია. დ. ქორიძის კლასიფიკაციით ამ განძში შედის ერთი I სახეობის ცული, ერთი - II სახეობის, ხოლო დანარჩენი სამი კი II სახეობის პირველი ქვესახეობის ცულებია (შდრ. დ. ქორიძე 1965: 61). როგორც ცნობილია, პირველად ბინჯაოს კოლხური ცულები ჩრდ. ოსეთში, ყოზანის სამაროვანზე აღმოაჩინეს, სადაც დაახლ. 700 გათხრილ სამარხში უამრავი მსგავსი ბრინჯოს ცულია აღმოჩენილი (რუდოლფ ვირხოვი 1883; ერნესტ შანტი 1886; ევგენი ი. კრუპნოვი 1960, 1969; ვალენტინა ი. კოზენკოვა 1990, 1996 და სხვ.). აღმოჩენის თავდაპირველი ადგილის გამო ამ ტიპის ცულებს ყოზანური ცული ეწოდა. კოლხური კულტურის ბრინჯაოს ცულებს ზოგიერთი ავტორი კოლხურ-ყოზანურ ცულებსაც კი უწოდებს (იური ი. ვორონოვი 1984; ალექსანდრე ა. სკაკოვი 1997 დ სხვ.). ჩვენს მიერ თურქეთში მონახულეულ სამუზეუმო საცავებსა და სააღრიცხვო დავთრებში მათ მოიხსენიებენ, როგორც „ნივთებს, რომელთა აღმოჩენის ადგილი უცნობია“, ან როგორც „ბრინჯაოს ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ ნივთებს“. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში ჩატარებული ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ბორის ა. კუფტინი 1949, 1950; თეიმურაზ მიქელაძე 1978, 1985a 1985b, 1990; ამირან კახიძე, შოთა მამულაძე 2000, 2017; მალხაზ ბარამიძე 2017; რევაზ პაპუაშვილი 1998, 2004; ჯონი ავაქიძე 2009 და სხვ.) დადგინდა, რომ ასეთი ცულები ადგილობრივი წარმოშობისაა და მათი „სამშობლო“ საქართველოა. უფრო მეტიც ახალი გამოკვლევების საფუძველზე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის

ფორმირება და შემდეგ განვითარება საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიაზე ხდება (ო. ლორთქიფანიძე 1986; 1991; ჯ. აფაქიძე 1993; 2009). შესაბამისად, ბრინჯაოს კოლხური ცულების ფორმირებაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უნდა მომხდარიყო. ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ცულები აბსოლუტურად იდენტურია დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ამგვარიკოლხური ცულებისა, რომლებიც დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი.

ორდუს ცულებიდან ოთხი ერთეული ტანის ორივე გვერდზე ამოღარული ორნამენტითაა შემკული, რის გამოც მათ „ამოღარულ ცულებს“ ეძახიან. სამ ცულს, რომელიც დ. ქორიძის კლასიფიკაციის მიხედვით კოლხური ცულების II სახეობის პირველი ქვესახეობის ცულებს წარმოადგენენ, მასიური ყუა აქვსდა სავარაუდოდ ისინი „ჩაქუჩებადაც“ გამოიყენებოდა. იგივე შეიძლება ითქვას კიდევ ორდუს განძის II სახეობის ერთ შედარებით პატარა ცულზეც. I სახეობის ცული კი, რომელსაც მახვილი ყუა აქვს, საბრძოლო ცული უნდა იყოს. ტანის ორივე მხარეს მას გამოკვეთილი წიბური მიუყვება მთელ სიგრძეზე - ცულისპირიდან ყუამდე. ასეთი ცულები ჰანკარის ტიპის ცულების (Hancar Type Axe) სახელითაა ცნობილი, მათი პირველადმოჩენის ადგილის მიხედვით. ართვინის ცულები ყველაზე მეტად ასეთ ცულებს გვანან. სამივე მასიურყუიანი „ჩაქუჩი“-ცულისა და ჰანკარის ტიპის ცულის (Hancar Type Axe) ტანი პირისაკენ ფართოვდება და მორკალული მშვილდის ფორმისაა, რაც კოლხური ანუ კოლხურ-ყოზანური ცულებისთვის დამახასიათებელი ნიშანია. ამასთანავე, განძში შედის ერთი ბრტყელი ცული, რომელსაც ზედა ნაწილში მკვეთრი ჰორიზონტალური შვერილები (კოტები აქვს დატანილი). დაბოლოს განძში შედის კიდევ ერთი თავისებური ფორმის ცული, რომელიც საქართველოში წალდის სახელითაა ცნობილი და გავრცელებულია კოლხეთის მხოლოდ სამიწათმოქმედო ზონაში. მაგალითად, ბრინჯაოს წალდეები გვხვდება ბობოყვათის, ზენტისა და სხვა განძებში (ალ. რამიშვილი 1974: 17, 20-22, ტაბ. XA.1, XIVA.2, XIVB.1). ასეთი ფორმა მთიანი კოლხეთისა და ყოზანური ცულებისათვის უცნობია.

ცულები, რომლებსაც კავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანაში იყენებდნენ, ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მათ შორის არსებულ მცირედ განსხვავებებს არქეოლოგები ადგილობრივ მახასიათებლებად თვლიან.

ორდუს, ართვინისა და პოსოფის განძების ცულები თავიანთი მახასიათებლებით იდენტურია კოლხეთის ბრინჯაოს განძებში აღმოჩენილ შესაბამის ნივთებთან.

ბრტყელი ცულები ანატოლიისა და კავკასიისათვის დამახასიათებელი ნივთია, თუმცა ასეთივე ცულები ირანში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზეც გვხვდება. ორდუს ცული ბრტყელი ცულების ცალკეულ ტიპს წარმოქმნის, რომლის ორივე შვერილიმკვეთრადაა გამოხატული. უფრო გრძელი ცულების შემთხვევაში, საბრძოლო ცულებისაგან განსხვავებით, შვერილები შესაძლოა ნაკლებად იყოს ამოხული, ან მისი ბოლოები შესაძლოა უფრო მომრგვალებული იყოს, ვიდრე მახვილი. ბრტყელი ცულები არქეოლოგიური გათხრების დროსაც აღმოაჩინეს. მათ ნიმუშებს ანატოლიაში პრეისტორიული ხანის კლდის რელიეფებშიც ვხვდებით (ინზაზარის ძეგლი ოფიონში) და ჰაკკარის სტელებზეც. ბრტყელი ცულები მთელ ანატოლიაში იყო გავრცელებული ძვ. წ. 2100 (ალიშარი) - 700 წ.წ. (ალიშარი, აგვურის ციხესიმაგრე) ბრინჯაოს გარდა, ასეთ ცულებს რკინისაგანაც ასხამდნენ. მართალია, ჰაკკარის სტელების თარიღი საბოლოოდ გარკვეული არ არის, მაგრამ ინზაზარის კლდეში ნაკვეთი რელიეფები ფრიგიული ხანისაა და ძვ. წ. VII ს თარიღდება.

სტოკპოლმში დაცული ორდუს კოლექცია, 1930-იანი წლების არქეოლოგიური ინფორმაციის ფონზეც კი დიდი მნიშვნელობისაა, რასაც ადასტურებს კიდევ ს. პრზევორსკი, იმის მიუხედავად, რომ მათი აღმოჩენის ზუსტი ადგილი და ვითარება უცნობია და ამასთან, სამი ცულის მხოლოდ ფოტოა შემონახული. მეცნიერი ანატოლია-კავკასიის 4000 წლის წინანდელი კულტურული ურთიერთობების ისტორიას იკვლევდა, ამ საკთხის არცთუ ყოვლისმომცველი ცოდნისა და ორდუს შვიდი ცულის საფუძველზე. დღესდღეობით, ახალი აღმოჩენების საფუძველზე, ეს ურთიერთობები უკეთაა განსაზღვრული. მაგრამ თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი დღემდე, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ცუდადაა შესწავლილი და ამ ორ რეგიონს შორის ურთიერთობების ისტორიაში დიდი თეთრი ლაქებია, სადაც ისტორიის მრავალი საიდუმლო ინახება და გამოსამზერებელია.

ბრინჯაოს ცულები პოსოფიდან. არქეოლოგიურ ლიტერატურაში პოსოფის რეგიონი პირველად 1896 წელს მოიხსენიება, სოფ. მერეს ახლოს აღმოჩენილი მასალის გამო. შესაძლოა ეს მერე დღევანდელი

სოფ. ჩაკირკოჩი იყოს. აქ აღმოჩნდა: ბრინჯაოს 5 კოლხური ცული, 2 აღმოსავლურ-ქართული ანუ აღმოსავლურ-კავკასიური ცული, 1 ცალი შვერილებიანი, დეკორირებული ბრტყელი ცული, პატარა ზომის ბრინჯაოს 23 თოხი, ბრინჯაოს სატეხი, 7 ერთეული ბრინჯაოს მასიური რგოლი (ზოგი მათგანი დეკორირებული), 1 ცალი ხელეჩო, 1 ცალი სემენტისებრი იარაღი, ლაგმის საყბური, სატევრის ვადა და ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხები (ა. იესენი 1935: 139-140; ბ. კუფტინი 1944: 327-329, სურ. 21-22). დღესდღეობით მასალა პეტერბურგის ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში ინახება და საადრიცხვო დავთარში მოხსენიებულია როგორც „მეჭიზის ციხის მასალები“ ანუ მეხჩის-ციხის განძი (დ. ქორიძე 1965: 37-38, სურ. 30). ეს ციხე დღევანდელი მერეს ციხე უნდა იყოს, სოფ. ჩაკირკოჩის აღმოსავლეთით.

მერეს ციხე მდ. პოსოფის სამხრეთ ნაპირზე, კლდოვან ქედზე დგას, პოსოფიდან სამხრეთ-დასავლეთით, 1.8 კმ-ის მანძილზე, და სოფ. ჩაკირკოჩიდან (მერედან) სამხრეთ-დასავლეთით, 500 მეტრიტაა დაშორებული. სავარაუდოდ, ჩამოთვლილი ბრინჯაოს მასალა სწორედ აქ იპოვეს. კლდის ქედი მდინარის კალაპოტისკენ პერპენდიკულარულად ეშვება, აღმოსავლეთიდან კი ველი ერტყმის, რომელზეც მდ. პოსოფის ერთ-ერთი შენაკადი მოედინება.

კლდეზე ორი ნაციხარია: ერთი - დასავლეთით, მეორე-აღმოსავლეთით. აღმოსავლეთით მდებარე ნაციხარზე კედლები თითქმის მთლიანადაა დანგრეული. დასავლეთით მდგარი, უფრო დიდი ზომის ციხის ნანგრევებზე კედლები შემორჩენილია და ქვები მეორადი გამოყენებისაა, ალბათ აღმოსავლეთით მდგარი ციხიდან მოტანილი. დასავლეთ ნაციხარი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება და მართკუთხა ნაგებობაა მომრგვალებული კუთხეებით.

სამხრეთ ფერდობზე გალავანშემოვლებული ნამოსახლარის კვალია. ნამოსახლარის სამხრეთით, გალავანთან ახლოს, ეკლესია დგას. გალავნის ეს მონაკვეთი დამატებით გაუმაგრებიათ ნახევარწრიული ბასტიონებით. თითოეულის დიამეტრი 1.5 მ-ია. ადგილობრივები ამბობენ, რომ კედლები უფრო მაღალი ყოფილა, მაგრამ ქვები თანამედროვე ნაგებობებისათვის გამოუყენებიათ.

მერეს ციხეზე აღმოჩენილი კერამიკა შუა საუკუნეებით თარიღდება. ციხის დასავლეთით, კლდეში ამოკვეთილი მრგვალი ორმოა. მისი დიამეტრი 0.2 მ-ია, სიღრმეც ამდენივე. სავარაუდოდ,

წილისეულის გამოსავალი უნდა იყოს. მდნარი ლითონის ჩამოსასხმელი თიხის სამსხმელო ტუჩის ფრაგმენტიც იმას მიუთითებს, რომ ციხესიმაგრეში სამჭედლო საამქრო უნდა ყოფილიყო. ამ ფრაგმენტის დათარიღება საძნელოა. ამას გარდა, ფერდობებზე წითელპრიალა და ყავისფერპრიალა ზედაპირიანი კერამიკის ნატეხები აღმოჩნდა, სავარაუდოდ, პრეისტორიული პერიოდისა.

ბარტონ ი. ბერრის განძი ტრაპიზონიდან. ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს დიპლომატიურ წარმომადგენლად მუშაობის დროს, ბერრი ძალიან დაინტერესდა ძველი ნივთებით და ნელ-ნელა დიდი კოლექცია შეაგროვა, რომელიც რამდენიმე ათასი ნივთისაგან შედგება. ის იმთავითვე იყო დაინტერესებული ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ცივილიზაციებით, რაც მისი საყვარელი მამიდის, ინდიანას უნივერსიტეტის ლათინური ენის პროფესორის, ლილიან გეი ბერრის დამსახურება იყო. 1970 წელს ბერრის კოლექცია ინდიანას უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმს გადაეცა უსასყიდლოდ და მას შემდეგ იქაა გამოფენილი.

კოლექცია მრავალ ცალკეულ ჯგუფში შემავალი ნივთებისაგან შედგება და მათი უმრავლესობა მცირე ზომის ნახელავებია. ბერრის კოლექციაში შემავალი ნივთები დაცულია ჩიკაგოს ხელოვნების, მეტროპოლიტენის, ბოსტონის სახვითი ხელოვნებისა და აშშ-ს მრავალ სხვა მუზეუმში.

ინდიანას უნივერსიტეტის მუზეუმის კოლექციაში ტრაპიზონის რეგიონიდან მომდინარე ნივთებიცაა. ეს მასალა მუზეუმის 1979 წლის ბიულეტენში გამოაქვეყნა მისმა დირექტორმა, ვ. რუდოლფმა და აქედან მოყოლებული იგი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი გახდა „ტრაპიზონის განძის“ სახელით. ასეა თუ ისე, განძის აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია. მუზეუმის დავთრებში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ მასალა ტრაპიზონის რეგიონიდანაა. ვინაიდან მასალა ორ ნაწილად გადაეცა მუზეუმს, შესაბამისად, სხვადასხვა სერიებად და განსხვავებული სარეგისტრაციო ნომრებითაა გატარებული: 70.105.19 A-Z და 70.105.20 A-K. თუმცაღა, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ტიპოლოგიურად, ნივთები ერთი პერიოდისაა და შესაძლოა ერთ ადგილასაც აღმოაჩინეს. ვ. რუდოლფი მართალი უნდა იყოს, როდესაც ყურადღებას ამახვილებს იქიზთეფეს გათხრებზე, სამსუნის ერთ-ერთ უბანში, ბაფრაში, რომელიც უ. ბაჰადირ ალკიმის ინიციატივით განხორციელდა 1974 წელს. აქ ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანი

გაითხარა და სამარხეულ ინვენტარში სპირალისებური ბეჭდები და გულსაკიდები აღმოჩნდა, რომლებსაც ბერრის კოლექციაში დაცულ ნივთებთან ბევრი საერთო აქვს.

„ტრაპიზონის განძში“ სულ 578 ნივთია. ყველა მათგანი სამკაულია. მათი უმრავლესობა ოქროსია. ბარტონ ი. ბერრიმ ეს კოლექცია ცალკე წიგნად გამოაქვეყნა.

შედარებითი ანალიზი და დათარიღება

არქეოლოგიაში ბრინჯაოს ყუამილიანი ცული საბრძოლო იარაღადაა მიჩნეული. წიაღისეულის მოპოვებისა და დამუშავების მაღალ დონეს მიუთითებს ის ფაქტი, რომ ცულები ორმაგ ყალიბში ჩამოსხმის ტექნოლოგიითაა შესრულებული, გაცივების შემდეგ კი ნივთს საბოლოოდ ცივი ჭედვის მეთოდით ამუშავებდნენ, რაც თურქეთში აღმოჩენილი ლითონის ნივთების უმრავლესობაზე დასტურდება. უეჭველია, რომ ბრინჯაოს ყუახვრელიანი ცულები, რომლებიც აღმოსავლეთ აზიაში ადრებრინჯაოს ხანიდან ჩნდება, ადრეულიქვის, ძვლისა და რქისგან დამზადებული ყუახვრელიანი იარაღების გაუმჯობესებული და დახვეწილი ვარიანტია, თუმცა, ისინი, უფრო მოგვიანებით, ბრინჯაოს იარაღების წარმოების მერეც აგრძელებენ არსებობას. ძვლისაგან და რქისაგან დამზადებულ სატარეხვრელიან იარაღებს ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის მეზოლითურ და სპილენძის ხანის ძეგლებზეც ვხვდებით. ამასთან ერთად, სამსუნში, იქიზთეფეს გორაზე, რომელიც ჩვენი კვლევის არეალში მდებარეობს, ხალკოლით-ადრებრინჯაოს ხანის საწყისი პერიოდით დათარიღებული ძვლის ყუახვრელიანი იარაღებია აღმოჩენილი.

რეგიონის მუზეუმებში ჩატარებული კვლევისას არ შეგვხვედრია არც ერთი ცული, რომელსაც ნახევარმთვარისებური სატარე ხვრელი ექნებოდა. თუმცა, ბალიკლის განძში აღმოჩენილია ორი ცული ნახევარმთვარისებური პირით, რომელთა ტარები დაკარგულია. მოგვიანებით, უ. ესინმა აღნიშნა, რომ ბალიკლიში აღმოჩნდა ოთხი ერთეული ნახევარმთვარისებურპირიანი ცული და ისინი ასე დააჯგუფა: „ტიპი 21“, „აიდემირის ტიპის და ნახევარმთვარისებურპირიანი ტიპის ცულები.“

მე-20 ს-ის პირველ ნახევარში, როცა ბრინჯაოს ცულების ჯგუფური შედარებები დაიწყეს, ფიქრობდნენ, რომ ყუამილიანი და

ნახევარმთვარისებურპირიანი ცულების წარმოშობის ადგილი მესოპოტამია და სირია უნდა ყოფილიყო. მოგვიანო კვლევებმა აჩვენა, რომ ანატოლიაში, ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისიდანვე, ასეთი ცულების ბევრი ნაირსახეობა არსებობდა. უ. ესინმა ისინი „ტიპი 22-ის“ კლასში დააჯგუფა და მათ „საბრძოლო ცულები“ უწოდა.

ყუახვრელაინ ცულებს შორის, ცილინდრული სატარე ხვრელების მქონე ბრტყელტანიანი ცულები უმთავრესად ადრებრინჯაოს ხანის ცენტრალური ანატოლიის სამარხებშია ნაპოვნი. არის მუზეუმის მიერ მოსახლეობისაგან შესყიდული ნიმუშებიც. ერთი ასეთი ცული რიზეს მუზეუმის კოლექციაშია დაცული (სურ. 2.1), ორი კი ტრაპიზონის მუზეუმში (სურ. 4. 1.7). მსგავსი ცულები გავრცელებულია ასევე საქართველოში. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ხანის ამგვარი ცული აჭარაში, ხულოს რაიონის სოფ. ნაომანშია აღმოჩენილი. ქობულეთის რ-ნის სოფ. აჭკვისთავში აღმოჩენილი სპილენძის ცულიც ამავე ტიპს განეკუთვნება, თუმცა ამ შემთხვევაში ტანი მცირედ განსხვავებულია და ცულისპირისკენ ფართოვდება. ამ უკანასკნელს ტრაპიზონის მუზეუმში დაცულ ორ ცულთან აქვს დიდი მსგავსება (სურ. 4. 1.7). კიდევ ერთი მსგავსი ცული, რომლის აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია, ზუგდიდის მუზეუმშია დაცული. იგი შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება. აღსანიშნავია ასევე რიზესა და ტრაპიზონის აღნიშნული ცულების მსგავსება ურეკის ყველაზე ადრეული განძის ზოგიერთ ცულთან (ქორიძე 1965: 10, ტაბ. II.1-12; რამიშვილი 1974: 28-29, ტაბ. XIX.5-23, XX.5-7) და ასევე ე.წ. საჩხერის ზოგიერთ ყუადაქანებულ ცულთანაც (ჯაფარიძე 1961: ტაბ. XIV.1, XV.3).

იმის მიუხედავად, რომ სამსუნისა და ტრაპიზონის ცულები ძირითადად ერთმანეთის მსგავსია, ორივე კოლექციაში თითო ცული მაინც განსხვავებულია სხვებისაგან (სურ. 3.1 სამსუნი; სურ. 4.3 ტრაპიზონი). ორივე მათგანს უფრო მახვილი ყუა აქვს. ასეთი ცულები, რომლებსაც ზოგადად ძვ. წ. მე-3 ათასწლ. ათარიღებენ, თავდაპირველად აპლატიბელის ქვაყუთებშია აღმოჩენილი, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანის ბოლო პერიოდებით თარიღდება. ერთ-ერთ სამარხში, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ქალისა და მამაკაცის ჩონჩხია. მამაკაცს გულმკერდის არეში ალებარდული ცული ედო, გატეხილი სატარე ხვრელით. ზუსტად ასეთი ვითარება დაფიქსირდა სხვა ქვაყუთში, სადაც გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში დასვენებულ ქალს გვერდით დაუზიანებელი ცული ედო. მსგავსი

ვითარება დაფიქსირდა რესულოდუს სამაროვნის რამდენიმე სამარხშიც, რომელიც ამავე პერიოდით თარიღდება. დ. ბ. სტრონახმა მსგავსი ცულები ანატოლიაში აღმოჩენილ ცულებს შეადარა და თავისი კლასიფიკაციით ისინი აღმოსავლეთ აზიური ცულების 1-ლ და მე-3 ტიპებს მიაკუთვნა. ერთ-ერთი ასეთი ცული ბოლაზქოიში მიწის ზედაპირულ ფენებში იპოვეს. და ძვ. წ. მე-3 ათასწ. ბოლო მეოთხედით თარიღდება, მეორე კი კაიაპინარის ტიპის ცულია, ძვ. წ. 2300-2100 წ.წ. თარიღდება და მესოპოტამიას უკავშირდება. მას სატარე ხვრელისა და წაგრძელებული ყუის ირგვლივ ამოღარული დეკორი აქვს. მისი მსგავსი ცული ბრტყელი ტანით აღმოაჩინეს ჰასანლუ ჰოიუქში, ურმიის ტბის სამხრეთით, ირანში. ეს ცული, რომლის სიგრძე 13.5 სმ-ია, წარმოდგენილია, როგორც ძვ. წ. მე-3 ათასწ. მესოპოტამიის ტრადიციული იარაღი.

გირესუნის მუზეუმში დაცული ჩაქურისებრი ფორმის ცული (სურ. 1.1) ძალიან ჰგავს 1971 წელს სტამბოლის მუზეუმის მიერ შესყიდულ ყუახვრელიან ცულს, რომელიც, სამუზეუმო ჩანაწერების თანახმად, ჩორუმის ოიმაღაჩის სამაროვანზეა ნაპოვნი. თ. იუზგუჩი აღნიშნავს, რომ მუზეუმისმიერ შესყიდული ლითონის ნივთები, შესაძლოა, მერზიფონის ახლოს მდებარე გულერის სამაროვნიდან იყოს. იგი, როგორც მოყვანილობით, ისე ზომით, ძალიან ჰგავს „L განმის“ ქვის ცულებს, რომლებიც ტროას II ფაზით თარიღდება. სწორედ ესაა მიზეზი, რომ, როგორც ფიქრობენ, ქვის ცულები ანატოლიური სატარეხვრელიანი ლითონის ცულების იმიტაცია უნდა იყოს. იორტანის სამაროვანზე აღმოჩენილი ცული, მართალია, განსხვავებულია როგორც სიგრძით (10.4 სმ), ისე ცულისპირის ფორმით, იგი შესადარებლად მაინც გამოგვადგება სატარე ხვრელის ფორმისა და ჩაქურის ფორმის ყუის გამო. მეორე მსგავსი ცული, რომელიც ამასიის მუზეუმშია დაცული, ძვ. წ. XXII საუკუნით თარიღდება. მისი შედარება სამსუნის მუზეუმის ცულთანაც შეიძლება (სურ. 3.7), რომელიც მართალია, უფრო პატარაა, მაგრამ ადრებრინჯაოს ხანის III პერიოდის პოლატლი ჰუიუკის ცულების მსგავსია. ზემოთ მოტანილი შედარებების საფუძველზე სრულიად დასაშვებია, რომ ეს ცული ძვ. წ. მე-3 ათასწ. მე-2 ნახევრით დავათარილოთ. ბ.ა. სტრონაჰის აზრით, მჭრელპირიანი და ჩაქურისებურყუანი ცულები, რომლებსაც იგი „1-ლი ტიპის“ ცულებს უწოდებს, შესაძლოა ცენტრალური და დასავლეთ ანატოლიიდან ეგეოსის აუზსა და ბალკანეთში

გავრცელებულიყო და ამ ვარაუდისას იგი ტროა II –ის პერიოდის ქვის ცულების არსებობას ითვალისწინებს.

გირესუნის მუზეუმის კოლექციის კოლხური ცული (სურ. 1, 2) შეიძლება რიზეს მუზეუმის ნიმუშებს შევადაროთ. ჩაქურჩისებრი ყუის მქონე ცული გირესუნის მუზეუმის ნიმუშის თითქმის იდენტურია (სურ. 2, 4). მხოლოდ ყუის ორივე მხარეს დაყოლებული დიაგონალური ღარებია განსხვავებული. ასეთივე სურათია ორდუსა და პოსოფის მასალების შედარების დროსაც. სოჭში ნაპოვნი ასეთივე ცული ძვ. წ.მე-13 საუკუნით თარიღდება, ხოლო თლიას სამაროვნის “C” ფაზის სამარხებიდან მომდინარე ამ ტიპის ცულები - ძვ. წ. X და VIII საუკუნის პირველი ნახევრით, რაც ამ ტიპის ცულების ხანგრძლივად გამოყენებას ადასტურებს. ამგვარი ცულები, რომელიც დ. ქორიძის კლასიფიკაციის IV სახეობის ცულებია, ფართოდაა გავრცელებული კოლხური, შესაბამისად, კოლხურ-ყობანური კულტურის გავრცელების მთელ არეალში უფრო დიდი რაოდენობით გვხვდება არაორნამენტირებული, თუმცა ორნამენტირებული ცულებიცსაკმაოდაა წარმოდგენილი როგორც ადმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში, ყობანის ლოკალურ ვარიანტებში.

გირესუნის კოლექციაში დაცული ცული, რომლის ტანის ზედა კიდე წამოწეულია და ღართაა დეკორირებული (სურ. 1.4), შეიძლება შევადაროთ 3. ერკანალის მიერ „ასემჰოიუკ თეფეს“ ჯგუფში (სურ. 5) გაერთიანებულ ცულებს, რომლებსაც იგი ძვ. წ. მე-2 ათასწ. დასაწყისით ათარიღებს. გირესუნის მუზეუმის ცული ამ პუბლიკაციაში მოტანილ სივასის ცულს ძალიან ჩამოგავს.

გირესუნის ცულების კოლექციის კიდევ ერთი ნიმუში (სურ. 1.4) პოლიოჩინის ტიპის ბრტყელტანიანი ცულის მსგავსია, რომელიც დასავლეთ აზიური ცულების მე-12 ტიპშია გაერთიანებული და ძვ. წ. მე-3 ათასწ. დასასრულით თარიღდება. მეორე მხრივ, ტრაპიზონის მუზეუმის კოლექციის მსგავსნიმუშს ძალიან პატარა ტარის კუთხე აქვს, ხოლო გირესუნის მუზეუმის ცულს სატარე ხვრელის უკან მოკლე მკლავები დაუყვება და მთელი სატარე ხვრელის (ყუის) პერიმეტრი დაღარულია.

გირესუნის მუზეუმის კიდევ ერთი ცული რესულოდლუს სამაროვანზე იქნა აღმოჩენილი, ზრდასრული მიცვალებულის გულმკერდის მარცხენა მხარეს. იგი პატარა ზომისაა, მაგრამ ზემოთაღწერილის მსგავსია. კიდევ ერთი მსგავსი ცული

მეტროპოლიტენის მუზეუმმა შეისყიდა და იქ ინახება. ეს ნივთები განსხვავდება გირესუნის ცულისაგან, რომლის ტანიც განიკვეთილი მართკუთხაა, ზედა და ქვედა კიდეები შეზნექილია და ოდნავ გამსხვილებული ყელი აქვს. რესულოდლუს ცულის სიგრძე 6,9 სმ., მეტროპოლიტენში დაცული ცულისა კი 9,7 სმ-ია. თუმცა, ისინი ზედხედში ერთმანეთის მსგავსია და ასევე ერთნაირი, მრგვალი სატარე ხვრელები აქვთ. ამასთანავე, ასეთი მცირე ზომის ცულებს ალბათ მსგავსი სამუშაოებისათვის იყენებდნენ.

რიზეს (სურ. 2.1), სამსუნის (სურ. 3.1), ტრაპიზონის (სურ. 4.1.3.7) მუზეუმების ცულების ფორმა ერთმანეთის მსგავსია - ყველა მათგანის ტანი სატარე ხვრელიდან ქვემოთკენაა დაკიდული. ასეთივე ცული აღმოაჩინეს კაზახში და ის მარტყოფი-ბედენის ტიპის ცულებს მიაკუთვნეს (სურ. 5). მარტყოფის ყორღანის ცულები გამოქვეყნებულია ოთარ ჯაფარიძის მიერ (ჯაფარიძე 1998: 24, სურ. 12; სურ. 13; ტაბ. XIV.1-4). ამავე ტიპისაა ერზრუმის მუზეუმის ცულებიც. მეორე მხრივ, 1949 წელს მაჰმატლარში აღმოჩენილი ცულების საფუძველზე, ბ.ა. სტრონახი თვლის, რომ ასეთი ცულები ცენტრალურანატოლიური წარმოშობისაა და მათ ძვ. წ. მე-3 ათასწლეულით ათარიღებს. რიზეს მუზეუმის ცული (სურ. 2.1), ასევე ახლოს დგას ადრეებინჯაოს ხანის დასასრულის საჩხერის ყორღანების ზოგიერთ ცულთან (ჯაფარიძე 1961: ტაბ. XIV.1, XV.3, XVI.6) და ასევე დაახლოებით ამავე დროის ზედა ილეშის განძების ამავე ტიპის მსგავს ცულთან (აფაქიძე, ჰანზენი 2019a: 279-281, სურ. 3.2; კვიციანი, ჯიბლაძე 2019: 50-51, ტაბ. 1-1, 1-; ფოტო. IV-2, IV-4).

რიზეს მუზეუმის კოლხური ცულებიდან ორი ერთეული იქცევა ყურადღებას ჩაქურდისებრი ფორმის ყუის გამო (სურ. 2.2.4). ჩვეულებრივ, მათ ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნით ათარიღებენ. ნოვოჩერკასკში (რუსეთი) აღმოჩენილი მსგავსი ცული ძვ. წ. VIII-VII სს. თარიღდება. თლიას სამაროვნის შესაბამისი მასალა კი ძვ. წ. X-VII სს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ცულები დასავლეთ საქართველოს კოლხური კულტურის განძებსა და ამ კულტურის ყობანის ლოკალურ ვრიანტებში უფრო ადრეული ხნითაცაა დათარიღებული (აფაქიძე 2000; 2006a, 2019b; სახაროვა 1976 და სხვ.). რკინის ბრტყელყუიანი ჩაქურდისებრი ფორმის ცულების ზოგი სახეობა ასევე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისითაც თარიღდება.

რიზეს მუზეუმის ერთი კოლხური ცული (სურ. 2.3) შეიძლება გარკვეულწილად ჰ. ერკანალის მიერ აღწერილ ფირაკტინული ტიპის (სურ.5) ცულებს შევადაროთ, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლ. თარიღდება. მათთვის დამახასიათებელია ე.წ „თევზის კუდისებური“ ყუა, რომელიც ჩაზნექილია და სატარე ხვრელის წინ დეზები არ აქვს. ჰოროზთეფესა და აპლატიბელზე აღმოჩენილი ამ ტიპის ცულები ბ. ა. სტრონაჰმა „მე-2 ტიპის ცულებში“ გააერთიანა და განაცხადა, რომ ძვ. წ. II ათასწლ. დათარიღებული ანატოლიური ნიმუშები, შესაძლოა ამ სახეობის ცულებისაგან წარმოქმნილიყო. ამასთან, მსგავსების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ტრაპიზონის მუზეუმში დაცული მსგავსი ცული (სურ. 3.5) და პატარა ცული (სურ. 4.3). თუმცა რიზეს მუზეუმის ზემოაღნიშნული ცული (სურ. 2.3) ერთმნიშვნელოვნად კოლხური კულტურის III სახეობის ცულია და მსგავსი ცულები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის განმეების შემადგენლობაში. კერძოდ, ისინი გვხვდებიან ჩაქვის, ფარცხანაყანევის, დიმისა და სხვა განმეებში.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში კოლხურ კულტურაში ფართოდაა გავრცელებული გრაფიკული დეკორით შემკული ბრინჯაოს ცულები თუ სხვა ნივთები. რიზეს მუზეუმში დაცული ნიმუშებიდან ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავია III სახეობის კოლხური ცული, რომელიც ტანის ორივე მხარეს გრაფიკული ორნამენტითაა შემკული (სურ. 2.5). თურქეთში მისი მსგავსი ცული ყარსთან ახლოსაც აღმოაჩინეს. მართალია, ტანის ფორმა ძვ. წ. II – I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებულ კოლხურ ცულებს მოგვაგონებს (სურ.5), მსგავსი დეკორით შემკული ცულები თლიას სამაროვნის D ფაზას განეკუთვნება და ძვ. წ. მე-10 ს. ბოლო-მე-9 ს. დასასრულით თარიღდება. გრაფიკული დეკორით შემკული კოლხური, შესაბამისად, კოლხურ-ყობანური ცულები საფუძვლიანადაა შესწავლილი ლეილა ფანცხავას მიერ (1988). ვ. კოზენკოვა გრაფიკული დეკორით შემკულ ყველაზე ადრეულ ნიმუშებს ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით ათარიღებს.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცულები შავი ზღვის აღმოსავლეთში ძვ. წ. მე-15 საუკუნიდან ძვ. წ. მე-6 საუკუნის დასაწყისამდე ფართოდაა გავრცელებული (სურ. 5). 1930-იან წლებში ამ ტიპის ცულებს ყობანურს უწოდებდნენ. რამდენიმე ერთეული ჩრდილოეთითაც აღმოაჩინეს, მდ. ვოლგის შუა წელზე.

ურალის მთების დასავლეთით, ყირიმსა და კიევის მიდამოებში. ამას გარდა, ამ სახის ცულები დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს ჩრდილოეთ კავკასიის სამხრეთ რეგიონებში, ორი ასეთი ცული კი, რომელიც გერმანიაში, კერძო კოლექციაშია დაცული, გადმოცემით, ჩრდილო-დასავლეთ ირანში, ურმიის მიდამოებში იყო აღმოჩენილი. მას შემდეგ, რაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ცულების რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილ ამგვარ ცულებს, მათ სპეციალურ ლიტერატურაში კოლხური ცულების ან კოლხურ-ყობანური ცულების სახელით მოიხსენიებენ.

რიზეს მიზეუმის კოლხური კულტურის ბრინჯაოს ცულები (სურ. 2.2-5) ზოგადად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგით უნდა დათარიღდეს. დიქკაიას არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი კერამიკული მასალის საფუძველზეისინი ასევე კარგად თარიღდებიან ადრერკინის ხანით. უფრო გვიანდელ ხანებში, ურარტულ ეპოქაში, ბრინჯაოს ცულები ქრება და მათ ნაცვლად რკინის ცულები შემოდის. გ. კოსაკის მტკიცებით, ეს ცულები სკვითურია. თუმცა ამ დროს სკვითურის გარდა კოლხეთში მრავლად გვხვდება სხვადასხვა ტიპის ადგილობრივი რკინის ცულებიც.

სამსუნის კოლექციის ის ცული, რომელსაც სატარე ხვრელის თავსა და ბოლოში, წინა მხრიდან კოტები ანუ შვრეილები აქვს (სურ. 3.2), წინა გამოცემებში გვიანბრინჯაოს ხანის იარაღთან ერთად იყო წარმოდგენილი და ძვ. წ. 1400-1190 წ.წ იყო დათარიღებული. მსგავსი ცული, რომელსაც ერთი შვერილი აკლია, გირესუნის მუზეუმში გადმოიტანეს სამსუნის მუზეუმიდან (სურ. 1.6). 3. ერკანალი ასეთ ცულებს „ვირაკტინის ტიპის“ ცულებში აერთიანებს (სურ. 5) და ხეთების იმპერიული ხანით ათარიღებს. ალიშარში ასეთი ცული პოსტ-ხეთურ, ფრიგიული პერიოდის ფენებში აღმოაჩინეს. ასეთი ცული, რომელიც ხეთური რელიეფური ხელოვნების ნიმუშებში გვხვდება, მალათიაში, არსლანთეფეს ლომთა კარიბჭის ერთ-ერთ რელიეფზეა გამოსახული. აქ მეფე ღვინის ზედაშეს სწირავს ღმერთებს, ორ ღვთაებას ე.წ. „ვირაკტინული ტიპის“ ორშვერილიანი ცული ადევს მხრებზე (სურ. 5). ცულები სწორტარიანია, ყუიანი, ოდნავ გამრუდებული ტანით, რომელიც ცულისპირისაკენ ფართოვდება. სატარე ხვრელი ირგვლივ ღარებითაა დეკორირებული. მეორე საინტერესო ნიმუში,

რომელიც ხეთური ეპოქისაა, ჩაპინუვაში/ორთაკოიშია აღმოჩენილი. დიორიტისაგან გამოთლილი ცული კვეთილი დეკორითაა შემკული და ყუაზე სამი შვერილი აქვს. ცულის ტანის ნაწილი C შენობის შიგნით აღმოაჩინეს 2003 წლის გათხრების დროს, ყუის ნაწილს მომდევნო წლის გათხრებისას D შენობაში მიაგნეს, რომელიც პირველისაგან 150 მეტრით იყო მოცილებული. სავარაუდოდ, ამ ცულს საგანგებო დანიშნულებით იყენებდნენ და ის სამუშაო ან საბრძოლო იარაღი არ უნდა ყოფილიყო.

სამსუნის მუზეუმის ღარებით შემკული ერთი ცული იმითაა გამორჩეული, რომ წინიდან, სატარე ხვრელის თავსა და ბოლოში თითო შვერილი შეინიშნება (სურ. 3.3). ამასიის მუზეუმში დაცული მსგავსი ცული, რომელიც მთელია და რომლის სატარე ხვრელიც ირგვლივ ასევე ღარებითაა შემკული, ძვ.წ. II ათასწლ. დასაწყისითაა დათარიღებული.

კიდევ ერთი ცული სამსუნის მუზეუმიდან, რომელიც ტანის ზედა ნაწილში ამოდარული ორნამენტითაა შემკული, 3. ერკანალმა შეისწავლა და იგი „ასემპოიუკის ტიპს“ მიაკუთვნა (სურ. 5). 1998 წელს ჰაკკარიში აღმოჩენილ სტელეებზე მეომრების რელიეფებზეც შვერილიანი ცულების მსგავსი ცულებია გამოსახული და აქაც შვერილები ზემო მხარესაა. ერთ-ერთ მათგანს, სატარე ხვრელის ქვედა მხარეს შვერილი აქვს. მსგავსი ტიპის ცული, სადაც ზემო შვერილის ნაცვლად, ტანის ზედა კიდეა ამალღებული, გირესუნის მუზეუმშია დაცული (სურ. 1.4). ასეთივე ცული ანკარის ანატოლიის მუზეუმშია დაცული და იგი ძვ. წ. მე-18 ს-ით თარიღდება. 3. ერკანალი ასეთი ტიპის ცულებს „თეფე გაურას ტიპის“ (სურ. 5) ჯგუფში ათავსებს და ძვ. წ. მე-2 ათასწლ. დასაწყისით ათარიღებს.

იმის მიუხედავად, რომ სამსუნის მუზეუმის მრგვალყუიან ცულსა (სურ. 3.5) და ფირაკტინული ტიპის ცულს შორის მსგავსება, ორივე მათგანის მომრგვალებული ყუის გამო, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სატარე ხვრელის წინ შვერილები დატანილი არ არის. ამ მხრივ იგი შეიძლება კოლხური ტიპის ცულსაც შევადაროთ. რიზეს მუზეუმის მსგავსი ცულის მახვილი ზურგი ჩაზნექილია (სურ. 2.3). ბ. ა. სტრონაჰი, რომელმაც ცენტრალურ ანატოლიაში ამ ტიპის მრავალ ცულს მიაკვლია, ისინი „მე-2 ტიპის“ ჯგუფში გააერთიანა. მისი შეფასებით, ეს ცულები ფართოდ იყო გავრცელებული საკმაოდ ვრცელ არეალში და ისინი ძვ. წ. მე-3 ათასწლეულით დაათარიღა. მართლაც, მსგავსი ცული,

ოდნავ უფრო მასიური ყელით, ტრაპიზონის მუზეუმშია აღნუსხული (სურ. 4.8).

სამსუნის მუზეუმის ერთი ცული, რომლის ტანის ზედა ნაწილი მკვეთრად წამოწეულია (სურ. 3.6), შესაძლოა ყარსის მუზეუმის ეგზემპლარს შევადაროთ, რომელიც „ტაზევენტ-კიროვაკანის“ ტიპის ცულებს მიეკუთვნება (სურ. 5). ტრაპიზონის მუზეუმში ასეთი ცულის ორი ანალოგია დაცული. ერთ-ერთი მათგანი საყურადღებოა ცილინდრული სატარე ხვრელისა და ბრტყელი ტანის გამო (სურ. 4.4), მეორე ცულის სატარე ხვრელი კი დეფორმირებული და გატეხილია (სურ. 4.6). ყუის ზედა ნაწილი აქაც წამოწეულია, ასეთ ცულებს კი ჰ. ერკანალი „თეფე გაურას ტიპში“ აერთიანებს (სურ. 5). თუმცადა, მათ შორის მცირედი განსხვავებაა - ცულები გრძელია და შედარებით გლუვი კიდეები აქვთ და სატარე ხვრელები ოდნავ უფრო გამსხვილებულია. ასეთი ტიპის ცული ჰასანლუ-ჰუიუკში, ურმიის ტბის სამხრეთით, ირანშიც იპოვეს. ამ ცულის სიგრძე 18 სმ.-ია და წარმოდგენილია, როგორც ძვ. წ. მე-3 ათასწლ. მესოპოტამიაში გავრცელებული საბრძოლო იარაღი.

სამსუნის მუზეუმის მცირე ზომის ცული (სურ. 3.7) შეიძლება ფოლატლის ნიმუშს შევადაროთ (სიგრძე 12.6 სმ), რომელიც სამსუნის ცულზე 1სმ-ით მოკლეა. მართალია, იგი ადგილობრივებმა არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე, მდინარის შესართავიდან მიწის შეგროვების დროს აღმოაჩინეს, ივარაუდება, რომ ნივთი ძვ. წ. მე-3 ათასწ. 1-ლი ნახევრით დათარიღებული ახლომდებარე სამარხიდან უნდა იყოს. ადრეულ გამოცემებში, სამსუნის ცული ოდნავ უფრო გრძელყუიან, ამასიის მუზეუმის მსგავს ცულთან უკვე იყო შედარებული, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანით, კერძოდ, ძვ. წ. 1400-1190 წ.წ. იყო დათარიღებული. უფრო მოგვიანო გამოცემებში, იგივე ავტორი მსგავს ცულებს ძვ. წ. 22-ე საუკუნით ათარიღებს. მართალია, რკინის ზოგი ნივთი ამ ცულებთან მსგავსებას ამჟღავნებს, განსაკუთრებით ყუის ჩაქუჩისებრი ფორმებით, შეფასებისას ისინი არ გაგვითვალისწინებია, მათი ტანის სტრუქტურისა და დათარიღების გამო, რომელიც ძვ. წ. 1-ლი ათასწ. დასაწყისში თავსდება.

სამსუნის მუზეუმის კოლექციაში ერთი ცული ძალზე საინტერესონიმუშს წარმოადგენს- წვრილი, გრძელი ტანით და სატარე ხვრელის ზემო და ქვემო მხარეს წამახვილებული გრძლი შვერილებით (სურ. 3.8). მისი მსგავსი ცული, სატარე ხვრელის

გვერდითდაყოლებული შვერილებით, სტამბოლის სადბერკ ჰანუმის მუზეუმშია დაცული. იგი რკინისაა და ახ. წ. IV საუკუნით თარიღდება. ამ ცულის ორივე შვერილი ძალიან მოკლეა, მისი ზედა ნაწილი მოხრილია და კაუჭის ფორმა აქვს, რომლის ბოლოს ცხენის სტილიზებული ფიგურაა გამოყვანილი. ამასის მუზეუმში დაცული მისი მსგავსი ცული, რომელსაც სატარე ხვრელთან შვერილებიარ აქვს, ადრეულ გამოცემაში გვიანბრინჯაოს ხანის ნივთებთან ერთად იყო წარმოდგენილი და ძვ. წ. 1400-1190 წ.წ. თარიღდებოდა. იგივე ავტორის უფრო მოგვიანო გამოცემაში ეს ცული ძვ. წ. XXII საუკუნითაა დათარიღებული.

ტრაპიზონის მუზეუმში დაცული ერთი ცული (სურ. 4.7) ძლიერ წააგავს ჰოროზთეფეში აღმოჩენილ ყუახვრელიან ცულს, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება.

